ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 2020 №236 (8500) ფასი: 60 თეთრი

შაქარაშვილის საქმის პროკურორი: „ველოდებით გამამტყუნებელ განაჩენს“

გვ.5

ადვოკატი: „ჩემი კლიენტი გამართლდება“

„წულუკიანი თუ პრემიერ-მინისტრი გახდა, ეს ნიშნავს, რომ პენსიაზე გაუშვეს“

თეა წულუკიანს „ოცნებაში“ პრემიეროობისთვის ამზადებენ

გვ.2

სად წავა გახარია?

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძე მარტოც რომ დარჩეს იმ პარლამენტში, ამის პრობლემაც არ ექნება, საერთოდ არ ესმის, რას ნიშნავს პოლიტიკა“

გვ.2

გვ.4

„სომხეთი უნდა მიხვდეს, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება“

პაატა ზაქარეიშვილი: „აზერბაიჯანმა ყარაბაღში დიდ გამარჯვებას მიაღწია“

„ოპოზიციამ უნდა იბრძოლოს!“

კორნელი კაკაჩია: „ოცნება“ ოპოზიციასთან დიალოგზე არ მიდის, საწინააღმდეგოდ იქცევა“

გვ.3

ამირან სალუქვაძე: „არჩევნები რომ გაყალბდა, ამას დამტკიცება უნდა“

პომპეოს ვიზიტი საქართველოში რეგიონის ახალ რეალობას ემთხვევა

გვ.4

თურქი პოლიტოლოგები: „რუსეთმა გაყინა დაძაბულობა მთიან ყარაბაღში და ხელში ჩაიგდო ინიციატივა“

გია ვოლსკი: „სააკაშვილის სცენარით მაიკ პომპეოს დახვედრა საქართველოსთვის დარტყმაა“

გვ.2

ISSN 1987-9385

5 54 წლის მამაკაცმა არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალური ქმედება განახორციელა

7 დღეს დიდი მატჩია

5 ხაშურის სასტუმროში 4-მა ქალმა 1 ქალი აწამა და დამამცირებელი ფოტოები გადაუღო

6 ერევანში აქციაზე 129 ადამიანი დააკავეს

„წულუკიანი თუ პრემიერ-მინისტრი გახდა, ეს ნიშნავს, რომ პენსიაზე გაუშვეს“

დავით ჭიჭინაძე: „კობახიძე მარტოც რომ დარჩეს იმ პარლამენტში, ამის პრობლემაც არ ექნება, საერთოდ არ ესმის, რას ნიშნავს პოლიტიკა“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, არაოფიციალური ინფორმაციით, „ქართულ ოცნებაში“ თანამდებობებზე დანიშვნების საკითხი განიხილება. ამბობენ, რომ პრემიერის პოსტზე თეა წულუკიანი განიხილება. თქვენ გაქვთ ინფორმაცია ამ საკითხზე?

– რბილად რომ ვთქვა, გამაოგნებელია თანამდებობების გადანაწილებაზე საუბარი, მაშინ როდესაც პოლიტიკურ ძალას არჩევნების ლეგიტიმაციის პრობლემა აქვს. მთელი ოპოზიციური სპექტრი არ ცნობს არჩევნების შედეგებს და „ქართულ ოცნებაში“ თანამდებობებს ინაწილებენ.

ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, თავად სახელმწიფოსადმი „ქართულ ოცნებაში“ აბსოლუტურად არასერიოზული დამოკიდებულებაა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში ყველა ინსტიტუტი გაუქმებულია. სამინისტროები რეალურად აღარ ფუნქციონირებენ, მხოლოდ კერძო ინტერესებს ემსახურებიან. აღარ ფუნქციონირებს არც სასამართლო და არც პროკურატურა. ახლა პარლამენტიც გააუქმეს. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, ივანიშვილი ვის რას დაარქმევს და საერთოდ, ვინ იქნება პრემიერი? ეს არის ის რეალობა, რომელიც გვაქვს. არავინ არავის არაფერს ეკითხება. ყველაფერი მხოლოდ ფორმალობაა და მეტი არაფერი.

– შეიძლება, წულუკიანი მართლაც განიხილება ამ პოსტზე.

– შეიძლება, არ გამოვრიცხავ. წულუკიანი ყველაზე დიდი ხნის მინისტრია. ის არის ერთადერთი შეუცვლელი მინისტრი ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტში. თუმცა, თუ ის პრემიერი გახდება, ეს არ იქნება დაწინაურება, ეს იქნება წულუკიანის პენსიაზე გაშვება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მინისტრთა კაბინეტი ივანიშვილს ექვემდებარება, მას ემორჩილება და არა პრემიერს. ჩვენ ხომ ნომინალური პრემიერები გვყავს. წულუკიანი თავის სამინისტროში მართლაც იყო პირველი პირი, მაგრამ პრემიერის რანგში ასე ვერ იქნება. ეს ხომ ცხადზე ცხადია! არც ერთი მინისტრი და სამინისტრო პრემიერს არ ექვემდებარება. გიორგი კვირიკაშვილის გარდა, რეალური პრემიერი იყო ვინმე ამ ქვეყანაში 2012 წლის შემდეგ?! თუ ბახტაძე იყო რეალური პრემიერი?! ან გახარია არის?! ასეთივე ნომინალური პრემიერი იქნება ახალი პრემიერი, ვინც არ უნდა იყოს ის.

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მინისტრი ან პრემიერ-მინისტრი. ყველაფერი ხომ ერთი ადამიანია ამ ქვეყანაში! ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, რომელიც სასწრაფოდ არის გადასალახი, მაგრამ ვერავინ ვერაფერს აკეთებს, იმიტომ, რომ იმ ერთ ადამიანს არ აქვს ჯერ გადაწყვეტილება მიღებული. სამწუხაროდ, ამ კრიზისის დაძლევის რესურსი „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია.

– ბატონო დავით, გამორიცხავთ, რომ ოპოზიციიდან გარკვეული პოლიტიკოსები ან პარტიები პარლამენტში შევიდნენ?

– მე ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს ოპოზიციურ ძალებთან და მოლაპარაკებებში ვმონაწილეობ. ჯერჯერობით მსგავსი ნიშნები არ არის და ამის თქმა, დღევანდელი მონაცემებით, დანამდვილებით შემიძლია.

– თუმცა ოპოზიციამ ერთიან კანდიდატებზეც კი ვერ შეძლო შეთანხმება მაჟორიტარულ ოლქებში.

– პირდაპირ გეტყვით, ერთიანი კანდიდატებით გასვლა შეცდომა იყო. რაც უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა არჩევნები, მით მეტი შანსი იქნებოდა, რომ უფრო მეტი ხმა წასულიყო ოპოზიციისკენ. შეთანხმებული ანუ ერთიანი კანდიდატები „ქართული ოცნების“ წისქვილზე უფრო ასხამდა წყალს, ვიდრე საერთო ოპოზიციის.

– რაც შეეხება მოლაპარაკებებს, როგორ შეიძლება, ამ მიმართულებით პროცესები განვითარდეს?

– თუ „ქართულ ოცნებას“ რეალური მოლაპარაკებები უნდა, მაშინ კობახიძე არ უნდა გველაპარაკოს. თუ კობახიძე იქნება მოლაპარაკებების გამხმოვანებელი და ის იქნება მთავარი მომლაპარაკებელი, მაშინ, გამოდის, ხელისუფლებას არ უნდა მოლაპარაკება. კობახიძეს მხოლოდ გაფუჭება შეუძლია და არა რამის გამოსწორება. კობახიძესთან დიალოგის არანაირი სურვილი არ აქვს ოპოზიციას. თუნდაც რომ ავიღოთ და შევადაროთ, კობახიძისა და კალაძის განცხადებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

– კალაძე თუ იქნება მომლაპარაკებელი, ოპოზიცია წავა მასთან დიალოგზე?

– ზოგადად მოვიტანე ეს მაგალითი, რომ უფრო ნათლად დავინახოთ, როგორი რადიკალურია კობახიძე და როგორ ჩანს ეს განსხვავება. მისთვის პოლიტიკა, პოლიტიკური პროცესი, დიალოგი საერთოდ უცხოა. ამაზე გავამახვილე ყურადღება. მერწმუნეთ, კობახიძე საერთოდ მარტოც რომ დარჩეს იმ პარლამენტში, მას ამის პრობლემაც არ ექნება. საერთოდ არ ესმის, რას ნიშნავს პოლიტიკა. პარტიის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა, გადაწყვიტა, რომ მთლიანად ქვეყანაში საარჩევნო პროცესის ხელმძღვანელობას ნიშნავს. ასევე გადაწყვიტა, ვის რამდენი დაუწეროს, ვინ შეიყვანოს პარლამენტში და ვინ – არა. ამიტომ შევედით ამ პოლიტიკურ ჩიხში.

– მაინც ვინ უნდა იყოს მთავარი მომლაპარაკებელი?

– რასაკვირველია, თავად ივანიშვილი, რადგან ყველამ იცის, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ივანიშვილი იღებს და სხვა არავინ. მასთან არის სალაპარაკო და არავისთან სხვასთან. დანარჩენები ვინ რას წყვეტენ იქ?!

თეა წულუკიანს „ოცნებაში“ პრემიეროობისთვის ამზადებენ

31 ოქტომბრის არჩევნების ოფიციალური შედეგების მიმართ ოპოზიციის პროტესტის მიუხედავად, მმართველი გუნდი პარლამენტისა და მთავრობის ფორმირებისთვის ემზადება.

„ინტერპრესნიუსისთვის“ ცნობილი გახდა რამდენიმე შესაძლო საკადრო გადაწყვეტილების თაობაზე, რომლებზეც სახელისუფლებო პარტიაში ჯერ მხოლოდ კულუარულად საუბრობენ.

სააგენტოს ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი გამორჩეული სახე და სიის მეოთხე ნომერი თეა წულუკიანი, სავარაუდოდ, პარლამენტის წევრი არ გახდება და საპარლამენტო პოსტის დაკავების ნაცვლად აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაბრუნდება – წულუკიანი, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარადგინონ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, წულუკიანის კანდიდატურა მეათე მოწვევის პარლამენტის პირველი ვიცესპიკერის პოსტზე განიხილებოდა, თუმცა ასევე საუბარია მის პრემიერ-მინისტრად წარდგენაზე. წულუკიანის გაპრემიერების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, თუმცა, როგორც „ქართულ ოცნებაში“ კულუარულად აცხადებენ, „საკითხი, წულუკიანი დარჩება პარლამენტში თუ გადავა მთავრობაში, 50/50-ზეა“.

სად წავა გახარია?

კიდევ ერთი მოსალოდნელი საკადრო გადაწყვეტილება სოზარ სუბარს უკავშირდება. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, სავარაუდოდ, ყოფილ ომბუდსმენ სოზარ სუბარს ჩააბარებენ, ხოლო „ქართული ოცნების“ ახალი პოლიტიკური სახე ნიკოლოზ სამხარაძე, რომელიც აქამდე პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტს ხელმძღვანელობდა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარედ იქნება წარდგენილი.

არ არის გამორიცხული, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თანამდებობაზე მიხეილ სარჯველაძე აირჩიონ, რომელიც 2013 წლიდან იუსტიციის მინისტრის მოადგილეა, თუმცა, როგორც „ინტერპრესნიუსს“ ინფორმირებულმა წყარომ განუცხადა, აღნიშნულ თანამდებობაზე დარჩენის სურვილი და ამბიცია ანრი ოხანაშვილს აქვს.

❖ ❖ ❖

გუშინ საღამოს ინფორმაცია თეა წულუკიანის შესაძლო გაპრემიერების შესახებ უარყო პარლამენტის ვიცესპიკერმა და „ქართული ოცნების“ წევრმა კახა კუჭავამ.

– როდესაც წარვადგენდით კანდიდატებს, კარგად იქნა აღნიშნული, რომ ჩვენ არ წარვადგენდით პრემიერობის კანდიდატს, წარვადგენდით პრემიერ-მინისტრს. ეს არის გიორგი გახარია და ის გააგრძელებს პრემიერობას უკვე მას შემდეგ, რაც პარლამენტი მუშაობას დაიწყებს და ახალ მთავრობას დაამტკიცებს.

ეს არის რეალობა და არანაირი საფუძველი არ აქვს მსგავს დეზინფორმაციას, რომ გავრცელდეს, – განაცხადა კახა კუჭავამ.

გრიგოლ ვაშაძე: „როდემდე ვეხვეწოთ უცხოელებს, რომ ერთმანეთს დაგვალაპარაკონ?!“

ნაციონალური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარემ 10 ნოემბრის 2 სკანდალური განცხადების შემდეგ დუმილი „ღამის კურიერში“ დაარღვია.

გრიგოლ ვაშაძემ არჩევნების შედეგ შექმნილ კრიზისსა და გამოსავლის გზებზეც ისაუბრა. „ვცადოთ მოლაპარაკებები“ – ეს მისი უმთავრესი გზავნილია, რომელსაც მთლიანად ოპოზიციურ ფლანგს უგზავნის.

– აღარ უნდა მივრბოდეთ ქართველები ჩვენი მთავარი მოკავშირეების დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან და ვეხვეწებოდეთ მათ ხელმძღვანელებს, რამენაირად ერთმანეთთან დაგვალაპარაკონ, იმიტომ, რომ ველურები ვართ და ერთმანეთს ვერ ველაპარაკებით. ეს უკვე კატასტროფაა.

გამოსავალი ამ ეტაპზე კი არის შემდეგი – საპროტესტო აქციების გაგრძელება, რომ ხელისუფლებამდე მივიდეს საქართველოს მოქალაქის სრულიად კანონიერი აღშფოთება, მაგრამ ასევე, არსებობს პოლიტიკური კომპონენტი, რომელსაც ჰქვია დიალოგი. ვცადოთ, თუ არ შევედით მოლაპარაკებებში, ვერც იმას გავიგებთ, ეს მოლაპარაკებები დამთავრდება წარმატებით თუ წარუმატებლად. ჩვენ ჩვენი მოთხოვნები გვაქვს, – აცხადებს გრიგოლ ვაშაძე.

როგორ იზომება ორ რადიკალურად განსხვავებულ ძალას შორის მოლაპარაკების წარმატებით დასრულება?

ამ კითხვაზე ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს თავისი მოსაზრებები აქვს, თუმცა, ამავდროულად, ამბობს, რომ მას ორი მხარისთვის შესათავაზებელი ზუსტი რეცეპტი არ აქვს.

– მოლაპარაკების წარმატებით დასრულება იზომება ისეთი ხელისუფლებისა და პარლამენტის შექმნით, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს იმ აღშფოთებული ადამიანების აზრს, რომლებიც დღეს ქუჩაში გარეთ დგანან და ელოდებიან, რომ მათ ხმას ვინმე გაიგებს. მე არავითარი ზუსტი რეცეპტები არ მაქვს, – ამბობს გრიგოლ ვაშაძე.

გიორგი ვაშაძე: „ჩვენი წინადადებაა ხელახალი არჩევნები“

ქვეყანაში ტოტალური კოლაფსია, რაც რვა წლის განმავლობაში დეინსტიტუციონალიზებულმა მმართველობამ მოიტანა – ჩამოშლილია აბსოლუტურად ყველაფერი.

აღნიშნული შეფასება „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ მოძრაობა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ გააკეთა.

მისივე აზრით, ოპოზიცია შექმნილ ვითარებაში ადეკვატურად მოქმედებს, პროცესს სწორად უყურებს და კრიზისიდან ლოგიკურ გამოსავალს ეძებს. ვაშაძემ კიდევ ერთხელ დაადასტურა ოპოზიციის მზაობა სახელისუფლებო პარტიასთან დიალოგზე.

– ჩვენ პროცესს ადეკვატურად ვუყურებთ. ასე ვერ გაგრძელდება. საჭიროა საერთო პოზიციების შეჯერება და, თუ საჭიროა, ჩვენი დასავლელი პარტნიორების შუამავლობით.

ჩვენი წინადადებაა ხელახალი არჩევნები, ახალი საარჩევნო ადმინისტრაციისა და ახალი საარჩევნო პროცედურების პირობებში. ამის ალტერნატივა მე ჯერ არ მომისმენია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რაღაც მაიმუნობაში ვაპირებთ მონაწილეობას, ამას არ ვაპირებთ და ეს ძალიან კარგად იცის ჩვენმა დიპლომატიურმა კორპუსმა, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ, რომელმაც აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთო ოპოზიციურ ფორმატში არც ერთი სხვა პოზიცია არ განხილულა.

გია ვოლსკი: „სააკაშვილის სცენარით მაიკ პომპეოს დახვედრა საქართველოსთვის დარტყმაა“

– სააკაშვილი არის ხიბლის ცოდვით შეპყრობილი და კიდევ სხვა ჩანაფიქრები აქვს ისეთი, რომლებიც ქვეყნის დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის დღეს ხალხის მასობრივი თავშეყრა უნდა მოხდეს.

როგორც ვოლსკი აცხადებს, პომპეოს „სააკაშვილისა და გუბაზისეული სცენარით“ დახვედრა საქართველოსთვის კიდევ ერთი დარტყმის მიყენების მცდელობაა.

– როდესაც ხიბლზე ვლაპარაკობთ, მოუსმინეთ, რას ამბობს მისი და ბაიდენის ურთიერთობაზე, რომ თურმე ობამა მისი დახმარებით იქნა ამერიკის პრეზიდენტის პოსტზე არჩეული. ღრუბელ-ღრუბელ და გვირაბებით სიარულს რომ თავი დავანებოთ, მას აქვს შეგრძნება, რომ არის ლიდერი იმ ძალისა, რომელსაც შეუძლია, დაანგრიოს.

რასაკვირველია, ამ თავის ფიქრებს აუცილებლად გამოიყენებს განცხადებებში. ეს ფიქრები არ უკავშირდება საქართველოს ხვალინდელ დღეს, მის სტაბილურობას. ვფიქრობ, პომპეოს დახვედრა სააკაშვილისა და გუბაზისეული სცენარით არის საქართველოსთვის კიდევ ერთი დარტყმის მიყენების მცდელობა, ისევე, როგორც მცდელობა ჰქონდათ, რომ როგორმე სანქციები დაეკისრებინათ საქართველოსთვის, – განაცხადა ვოლსკიმ.

ცნობისთვის, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ თუ საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჩამოდის, იმ დღესაც ხალხის მასობრივი მობილიზაცია უნდა მოხდეს. სააკაშვილის თქმით, მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ქართველი ერი დასაჩაგრი არ არის.

მაიკ პომპეო საქართველოს 17 ნოემბერს ეწვევა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციამ უნდა იბრძოლოს!“

კორნელი კაკაჩია: „ოცნება“ ოპოზიციასთან დიალოგზე არ მიდის, საწინააღმდეგოდ იქცევა“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად თანმიმდევრულია ოპოზიციის მოქმედებები? არის თუ არა მზად კომპრომისისთვის ხელისუფლება? რას ნიშნავს „ოცნების“ მხრიდან, ერთი მხრივ, დიალოგისთვის მზადყოფნაზე გაკეთებული განცხადებები და, მეორე მხრივ, მისი რადიკალურ ოპოზიციად მოხსენიება? რას უნდა ველოდოთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტისგან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი კორნელი კაკაჩია საუბრობს.

– მოვისმინეთ გრიგოლ ვაშაძის ორი განცხადება, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო იყო და გარკვეული დაბნეულობაც გამოიწვია. ხომ არ გაჩნდა ეჭვი, რომ არც ისე თანმიმდევრულად მოქმედებს ოპოზიციაც?

– ეს ეჭვი გაჩნდა და მიუთითებს გარკვეულ სკეპტისზე, რომელიც, შესაძლოა, ოპოზიციის რიგებში არსებობს ამ ტაქტიკასთან და კონკრეტულ დროსთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და პლუს ის გეოპოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც ჩვენს რეგიონში ხდება, ყარაბაღის გარშემო და კიდევ სხვა პრობლემები, მით უმეტეს ზამთარი მოდის – ეს ყველაფერი აისახება იმაში, რომ ნაკლებად არის მოსალოდნელი ამომრჩევლის დიდი რაოდენობით გამოსვლა და აქციებზე დადგომა. მხედველობაში ოპოზიციის მხარდამჭერი ამომრჩეველი მყავს.

მე მგონი, ეს ზოგიერთმა ლიდერმა სწორად აღიქვა. უბრალოდ, ამის ოფიციალურად თქმა, ვაშაძის გარდა, ვერავინ გაბედა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ სიმართლის თქმა ადვილი არ არის, რადგან, შესაძლოა, ვიღაცას იარლიყი მიანებონ ან დაადანაშაულონ, რომ ერთიანობაში ბზარი შეიტანა, მაგრამ, მთლიანობაში, ეს ის რეალობაა, რომელზეც ბევრი ექსპერტი და პოლიტოლოგი მიუთითებდა ბოლო დღეებში, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა ინსტიტუციურ ჩარჩოებში დაბრუნება და ფიქრი იმაზე, როგორ უნდა დაიწყოს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

– დიალოგ ზე ოპოზიცია სულ საუბრობდა, უბრალოდ, მიუთითებდნენ იმას, რომ დიალოგს აზრი პროტესტის ფონზე ექნებოდა, რადგან ხელისუფლება დათმობაზე ასეთ დროს წამოვიდოდა. ამ ვერსიას რამდენად აქვს საფუძველი?

– თეორიულად ცუდად არ ჟღერს, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, იმის რესურსი, რომ ხალხი დიდი რაოდენობით გამოვიდეს ქუჩაში, არ არსებობს. ამაზეა საუბარი, თორემ თეორიულად კარგია. ნორმალურ სიტუაციაში რომ ყოფილიყო ეს, შეიძლებოდა, მაგრამ დღეს, ამ რეალობიდან გამომდინარე, ამის რესურსი და შესაძლებლობა ნაკლებად არსებობს. მე არ ვამბობ, რომ უარი უნდა თქვან ბრძოლაზე. პირიქით, უნდა იბრძოლონ, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების მეშვეობით, რომ გაგრძელდეს დავები საეჭვო ოლქებთან დაკავშირებით.

აზრზე მოვიყვანთო და ა.შ. ეს ხელს არ უშლის დიალოგს?

– სწორედ მაგას ვამბობდი, რომ ასეთი განცხადებები ხელს არ უწყობს დიალოგის დაწყებას. მაგიტომ ვამბობ, რომ „ოცნება“ ერთი ხელით დიალოგზე საუბრობს და მეორე ხელით საწინააღმდეგოდ იქცევა. ეს ორმაგი სტანდარტია, რაც, მთლიანობაში, აზარალებს ამ პროცესს.

– აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩამოდის ნოემბერში და რას ელით მაიკ პომპეოს ვიზიტისგან – ეს მხოლოდ საქართველოს ამბებს უკავშირდება თუ რეგიონში შექმნილ მწვავე ვითარებასაც?

– მე მგონი, ორივეს. რეგიონში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები, ფაქტობრივად, ტექტონიკური იყო, თან ისე, რომ ამ ცვლილებებში მთავარი აქტორი იყო არა დასავლეთი, არამედ რუსეთი, თურქეთი და რეგიონული მოთამაშეები, რამაც გარკვეულწილად გააჩინა განცდა, რომ საქართველო თითქოს იზოლაციაში ექცევა, იმიტომ, რომ კონფლიქტის მოგვარებაში დასავლეთი ინერტული იყო. ეს განცდა რომ არ გაჩნდეს, საჭიროა გარკვეული მხარდაჭერა. აშშ-ის მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა მნიშვნელოვანია და ეს ვიზიტი ამის სიგნალია. ასევე სიგნალია მოსკოვისთვის და სხვებისთვის, რომ მართალია, ამერიკის შიდა პოლიტიკა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის და ბევრი პრობლემა არსებობს, მაგრამ საქართველო კვლავ რჩება ამერიკის საგარეო პოლიტიკის ინტერესში და ეს ვიზიტი ამასაც ადასტურებს.

ამას აქვს მეორე მიზეზიც. იქიდან გამომდინარე, რაც ხდება ქვეყნის შიგნით, აშშ დაინტერესებულია, ხელი შეუწყოს დიალოგის დაწყებას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. როგორც ვიცი, ოპოზიციასთან შეხვედრა ცალკე დაგეგმილი არ არის, მაგრამ, თუნდაც ის, რომ ის შეხვედება ხელისუფლების წარმომადგენლებს, ნიშნავს, რომ იქნება საუბარი იმაზე, როგორ უნდა მოხდეს დიალოგის დაწყება. აშშ მხარს არ უჭერს საქართველოში რომელიმე პარტიას. ის დაინტერესებულია იმით, რომ ქვეყანაში სტაბილურობა იყოს, რათა მან გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმები და მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისკენ სვლა.

– ხომ არ იგრძნო ამერიკამ, რომ რეგიონში ის ველარ აკონტროლებს ვითარებას და ყველაფერი რუსეთის ხელში გადადის? ამასაც ხომ არ უკავშირდება და ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთვის იქნება დამატებითი ბერკეტები შეთავაზებული ევროატლანტიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციისთვის?

– ეს რომ იგრძნო, ამაზე ვისაუბრე კიდეც და ამიტომ არის მნიშვნელოვანი ეს ვიზიტი, რომ საქართველოს არ ჰქონდეს იზოლაციის შეგრძნება. რაც შეეხება შეთავაზებას, ეს ნაკლებად მგონია. ვიცით, რომ ამ ადმინისტრაციის დღეები დათვლილია და 20 იანვრიდან აშშ-ს ეყოლება ახალი პრეზიდენტი და ახალ საგარეო პრიორიტეტებს ჩამოაყალიბებს ახალი გუნდი. 3-4 თვეში გვეცოდინება, რა პრიორიტეტები აქვს ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით.

ტრამპის ადმინისტრაციის დროს ეს რეგიონი არ იყო პრიორიტეტული, თუმცა ქართულ-ამერიკული ურთიერთობები ინერციით ვითარდებოდა, მაგრამ ახალი ხედვები ნაკლებად იგრძნობოდა. აქედან გამომდინარე, ეს მიმართულება, რაც თქვენ იკითხეთ, ნაკლებად მოსალოდნელია. უფრო იქნება პოლიტიკური მხარდაჭერა, რომ მოხდეს მინიმიზაცია იმ „ზარალისა“, რომელიც, შესაძლოა, საქართველომ მიიღო ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, მით უმეტეს, რომ დასავლეთის როლი ბოლოდროინდელ მოვლენებში ძალიან პასიური იყო. აქედან გამომდინარე, რაღაც რეაგირება უნდა ყოფილიყო აშშ-ის მხრიდან და ამის გამოხატულებაა ეს ვიზიტიც.

ამირან სალუქვაძე: „არჩევნები რომ გაყალბდა, ამას დამტკიცება უნდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, რა არის ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ? არჩევნები ჩატარდა, ოპოზიცია ქუჩაშია. ბოლო დროს განცხადება გაკეთდა მოლაპარაკებებში შესაძლო ჩართვის თაობაზე, მაგრამ იქაც ყველაფერი ნათელი არ არის.

– სამწუხარო რეალობაა. ნაცმოძრაობაში პარტიის თავმჯდომარესაც კი არ აქვს უფლება, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას. ოპოზიციონერებს რომ ჰკითხოთ, შიდადემოკრატია უმაღლეს დონეზე აქვთ, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს.

– რა იყო გრიგოლ ვაშაძის პირველი განცხადება?

– ეს იყო მისი პოზიცია, მოწოდება. ალბათ, ვაშაძის პოზიციას კიევიდან ისეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვა, რომ სააკაშვილმა ის დარეკვის ღირსადაც არ ჩათვალა და გვარამიამ გამოაქვეყნა ახალი განცხადება. შემდეგ დაიდო ჩასწორებული განცხადება ვაშაძის ფეისბუქგვერდზე.

პირველ განცხადებაში რაც ეწერა, ყველა ინტერვიუში და სოციალური ქსელით ვამბობდი. ოპოზიცია წამგებიან პოზიციაშია, როცა სიტუაცია ჩიხში შეჰყავს. პროტესტს (განსაკუთრებით, როდესაც პროტესტი ეხება არჩევნებსა და არჩევნების ლეგიტიმაციას) ორი ტიპის მხარდაჭერა სჭირდება, ერთი – ამომრჩევლისა და მეორე – საერთაშორისო დამკვირვებლების. არც ერთი და და არც მეორე ოპოზიციურ პარტიებს არ აქვთ.

– რატომ, ხალხს რომ ვერ აგროვებენ?

– 7 პარტია ხალხს ვერ აგროვებს. დავინახეთ, რომ ფულსაც უხდიდნენ. ისე არავინ ჩამოვა რაიონიდან თბილისში და არ დადგება თვეების განმავლობაში. ოპოზიციამ რაიონებიდან ძლივს მოაგროვა ის რაოდენობა, რომელიც ვიხილეთ. იმისათვის, რომ ხელისუფლებაზე სერიოზული გავლენა მოახდინო, ხალხი მხარს უნდა გიჭერდეს. არსებობს კვლევები, მოსახლეობის რა პროცენტი უნდა გამოვიდეს, რათა ჩაითვალოს, რომ ხალხი უკმაყოფილოა და ცვლილებას მოითხოვს.

ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით თუნდაც ხელახალი არჩევნებს მოთხოვნით საკუთარი მომხრეების გამოყვანა (ისიც საკითხავია, მომხრეები იყვნენ თუ ისე ჩამოყვანილი ხალხი) უნდა შეგეძლოს. დავინახეთ, რომ მერე და მერე ხალხმა იკლო. მათი მომხრეების მცირე ნაწილი იყო გამოსული. თუ მხოლოდ ნაცმოძრაობამ ნახევარი მილიონი ხმა აიღო, აქციაზე 7 პარტიას ძლივს გამოჰყავს თუნდაც 10 ათასი, ეს ის მუხტი არ არის, რომ ძალის პოზიციიდან ილაპარაკო.

როცა პარლამენტის წინა ნაწილი მჭიდროდ ივსება, ე.ი. 5 ათასი კაცია მისული. ნახონ დრონის კადრები. რამდენიმე ათას ადამიანს დაინახავენ და გადატრიალებასა და ხელისუფლების ცვლილებაზე ლაპარაკს დაიწყებენ. ეს სწორი არ არის. ქვეყანა დაიღალა.

– ახალი არჩევნების ჩატარებას სჯობია, ბიულეტენები სრულად გადათვალო?

– ამის განხილვა არ უნდათ, სალაპარაკოდ არც მიდიან, დაუჭერიათ ხელში ათეული ოდენობის ოქმი და ამბობენ, გაყალბდაო.

– ორი პარტიის ხელმძღვანელს ველაპარაკე – „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასა და „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერ მამუკა ტუსკაძეს. ისინიც ამბობენ, გაყალბდაო. ასეთი მაგალითი მოჰყავთ – უბანზე, სადაც ხმა მივეცით, ჩვენი ოჯახიდან 8 და 10 ვიყავით და ნული ხმა ამოვიდაო. შეიძლება, არის რაღაც დარღვევებიც.

– არ გამოვრიცხავ საბოტაჟს, არ გამოვრიცხავ დაღლილობას. გაყალბებას ვერ დავაბრალებ, ამას დამტკიცება უნდა. ბიულეტენები ადგილზეა და გადაათვლევინონ. კახი კახიშვილს მოვუსმინე. მან თვალნათლივ წარმოადგინა გასწორებული და არასწორად შევსებული ოქმები. მე თვითონ ამ უბნის ამომრჩეველი ვარ. კახიშვილმა აჩვენა, რომ ზოგან 408 უნდა ეწეროს და 8 უწერია, ზოგან ნული უწერია. მისი ხმა მის გვერდით ვიღაცას უწერია, ვიღაცის, პირიქით, ამას უწერია. შეიძლება, ბაღათურიას ხმები ვიღაცას, ერთ უჯრედით ზემოთ ან ქვემოთ დაუწერეს. ეს გადასამოწმებელია. შეიძლება, პლუს-მინუს რაღაც ცდომილებები იყოს. სამართლებრივ რეჟიმში უნდა იმოქმედონ. სხვაგვარად ჩიხური სიტუაციაა.

გამოდიან და უტიფრად ლაპარაკობენ, 48%-ით უმრავლესობაში როგორ არიანო. ვიღაც ამას იჯერებს. მთელი საერთაშორისო საზოგადოება მოუწოდებს, ყველაფერი მოლაპარაკების რეჟიმში გადაწყვიტეთ, ულტიმატუმებისა და ძალის დემონსტრირების გარეშეო. თუ სურთ, გადათვალონ, მაგრამ მე ვერ ვხედავ ასეთ მოწოდებებს. მაინცდამაინც დაუჩემებიათ, გადადგეს ჟვანია და დაინიშნოს ახალი არჩევნებიო. დავუშვათ, ხელისუფლება ამას დასთანხმდა.

– ეს ხომ გაყალბების აღიარებას ნიშნავს.

– თუ ჟვანია გადადგა, მაშინ უნდა დაიჭირონ. შეიძლება, მღელვარების გამო გადადგეს, მაგრამ გაყალბება არ აღიაროს. დავუშვათ, ხელისუფლება წავიდა დათმობაზე და დაინიშნა ახალი არჩევნები, ვინ მოგვყავს დამკვირვებლებად? ეუთოსი არ გვჯერა, სხვა სადამკვირვებლო მისიების არ გვჯერა.

– აბა, რუსეთიდან დამკვირვებლები რად გვინდა, რუსეთიდან ვინც არის – ალასანია – ხომ ვიცით, რა სცენარებს გვთავაზობს.

– მაგათ ბუტაფორზე ლაპარაკი არ მინდა. მომსახურების ზონიდან მთლიანად არიან გასული.

– ეს თუ აჩვენებს ნაცმოძრაობის რეალურ მდგომარეობას?

– რეალურ მდგომარეობას აჩვენებს ის, რომ პარტიის თავმჯდომარეს არა აქვს უფლება, დამოუკიდებლად პოზიცია გაახმოვანოს.

– ვაშაძე რეალური თავმჯდომარეა?

– საქმეც ეგაა. რეალური თავმჯდომარე რომ იყოს, პარტია არ აუჯანყდებოდა. როცა სჭირდებათ, ამბობენ, დემოკრატიული პარტია ვართ და აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვსო, მაგრამ გრიგოლ ვაშაძე ჩაქოლეს.

– ვაშაძე პოლიტსაბჭოს არ უნდა მოსთათბირებოდა, სანამ განცხადებას გამოაქვეყნებდა?

– ვაშაძეს პარტიის პოზიცია ხომ არ დაუფიქსირებია. მან საჯაროდ დაწერა ის, რასაც ფიქრობდა და ამის გამო ჩაქოლეს.

– საინტერესოა, ვაშაძეს რატომ გაუჩნდა პარტიისაგან განსხვავებული აზრი?

– იმ შეცდომების შემდეგ, რომლებიც დაუშვეს ჯერ რუსთაველზე, ჩამოიყვანეს ხალხი რაიონებიდან, საღამომდე შემოეფანტათ, რაც დარჩათ, ცესკოსთან წაიყვანეს და იქ შტურმი მოაწყვეს. ვაშაძემ ეს შეცდომები დაინახა, იფიქრა და დაწერა თავისი აზრი. გამოვიდა, რომ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ წავიდა.

ამით გამოჩნდა, რომ გრიგოლ ვაშაძე ნაცმოძრაობის ფიქტიური თავმჯდომარეა და პარტიაში დემოკრატია არ არის. ვინც არ ეთანხმებოდა, უნდა ეთქვა, ეს იყო თავმჯდომარის აზრი, დავილაპარაკებთ პარტიაში და პარტიის აზრს დავაფიქსირებთო. აქედან პრობლემა თავად შექმნეს.

– ასეთი სიტუაცია ქვეყანაში არასტაბილურობას ქმნის?

– არასტაბილურობას არ ქმნის. როგორც ჩანს, საერთაშორისო პარტნიორებთან კონსულტაციები ჰქონდათ, მხარდაჭერა ვერ მიიღეს, ნელნელა პოზიციები შეცვალეს და ახლა ერთმანეთს მოუწოდებენ, პოლიციასთან კონტაქტში არ შეხვიდეთო. თავიდანვე ასე მოქცეულიყვნენ, რად უნდოდათ, ცესკოსთან შტურმს რომ აწყობდნენ. მერე ამბობდნენ, ჩვენი ხალხი არ იყო, პროვოკატორები იყვნენ, რომ შესულიყვნენ, რა მოხდებოდაო.

ექსპრეზიდენტმა თქვა, რაც მოხდებოდა, ბიულეტენებს აიღებდნენ და ფანჯრიდან გადმოყრიდნენ.

– როგორ ფიქრობთ, როგორ დასრულდება?

– სხვა გამოსავალი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ და რაღაცაზე შეთანხმდნენ.

– რაზე უნდა შეთანხმდნენ?

– არ ვიცი. გადათვლის გარეშე ხმების გადასწორება კანონდარღვევა იქნება. ხმების გადასწორება შეიძლება მხოლოდ ერთი გზით – ბიულეტენების გადათვლით, თუნდაც ერთი თვე მოანდომონ. თუ ეჭვი ეპარებათ, რომ უკეთეს შედეგს ვერ მიიღებენ, პარლამენტში მშვიდად შევიდნენ. თუ დარწმუნებული არიან, რომ ორი მილიონი ხმის გადათვლით უკეთეს შედეგს მიიღებენ, მოითხოვონ ხმის გადათვლა, რატომ ითხოვენ ჟვანიას გადადგომას? აგერ არის კომისიები, აგერ არიან მათი წარმომადგენლები კომისიებში, დაიწყონ გადათვლა და დღედაღამ თვალონ.

პომპეოს ვიზიტი საქართველოში რეგიონის ახალ რეალობას ემთხვევა

თურქი პოლიტოლოგები: „რუსეთმა გაყინა დაძაბულობა მთიან ყარაბაღში და ხელში ჩაიგდო ინიციატივა“

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს ვიზიტი საქართველოში, რომელიც 17-18 ნოემბერს გაიმართება, რთულ პერიოდსა და სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ახალ რეალობას ემთხვევა.

როგორც ცნობილია, რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიღწეული დეკლარაციის თანახმად, შეწყვეტილია ცეცხლი მთიან ყარაბაღში და მიღებულია გადაწყვეტილება იქ რუსეთის სამშვიდობო ძალების 5 წლით განთავსების თაობაზე. ყარაბაღში თურქებიც განთავსდებიან, თუმცა თურქი მიმომხილველების უმრავლესობა აღიარებს, რომ ყარაბაღსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ფეხი მოიკიდა რუსეთმა. საპროტესტო გამოსვლებია სომხეთში, სადაც სომხეთის ხელისუფლებას ყარაბაღის დათმობაში ადანაშაულებენ.

ჯერჯერობით არჩევნების შემდეგ სრული გარკვეულობა არ არის აშშ-შიც. მაიკ პომპეო დონალდ ტრამპის გუნდს წარმოადგენს, ტრამპი კი საპრეზიდენტო არჩევნებში ბაიდენის გამარჯვებას არ აღიარებს. პომპეო მოუწოდებს ქვეყნების ლიდერებს, ნუ იჩქარებენ მილოცვებს, ვინაიდან ხმების გადათვლის პროცესი არ დამთავრებულა.

საქართველოში 31 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგიც საკამათოა – გამოცხადებულ მონაცემებს, „ქართული ოცნების“ გარდა, არავინ ცნობს. უცხოელი დამკვირვებლების შეფასებით, სადავო უბნებზე ხმები უნდა გადაითვალოს. დასავლელი პარტნიორები დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ.

მაიკ პომპეო აცხადებს, რომ მზადაა, ხელისუფლება რბილად და უმტკივნეულოდ გადააბაროს ახალ ადმინისტრაციას, იმისდა მიუხედავად, ვინ გაიმარჯვებს ამერიკის არჩევნებში.

ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ აშშ-ის ინტერესი საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის მიმართ იზრდება.

საქართველოში ვიზიტისას პრემიერთან და პრეზიდენტთან მაღალი სტუმარი იმსჯელებს თავდაცვის, უსაფრთხოების, ასევე ვაჭრობისა და ეკონომიკის საკითხებზე, ორმხრივ პარტნიორობასა და რეგიონში შექმნილ მდგომარეობაზე.

ქართველი ექსპერტების ნაწილის აზრით, ყარაბაღში აზერბაიჯანთან ერთად გაიმარჯვა თურქეთმა, რუსეთმა კი მხოლოდ საპასუხო ნაბიჯები გადადგა.

სხვა პოზიციაზე დგანან თურქი მიმომხილველები. მათი აზრით, გამარჯვებული რუსეთია – მან გაყინა დაძაბულობა მთიან ყარაბაღში და ხელში ჩაიგდო ინიციატივა.

მათი შეფასებით, 19 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმებით შეწყდა ომი, მიღწეულ იქნა თანხმობა ტყვეების გაცვლაზე, ამის პარალელურად კი იქ განთავსდება რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი.

რუსი სამხედრო ექსპერტები კრემლს მოუწოდებენ, მოემზადოს რუსი სამშვიდობოების შესაყვანად დონბასშიც

თურქი ჟურნალისტების თქმით, ახალი შეთანხმებით გაგრძელდება რუსეთის პროტექტორატი რეგიონში.

თურქი პოლიტოლოგი აღნიშნავს, რომ რუსეთი არ გამხდარა ახალი სამშვიდობო გეგმის მფარველი. მან ახლიდან გაყინა კონფლიქტი. ამით გაბედნიერდა პრეზიდენტი ალიევი, დაკმაყოფილდა აზერბაიჯანელი ხალხი, დაიბნა პრემიერი ფაშინიანი და განეიტრალდა თურქეთი.

რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის ერთობლივი გეგმა ცნობად მიიღო აშშ-მ და გამოთქვა დეტალების გაცნობის სურვილი.

პუტინის „ბრწყინვალე სპეცოპერაციასა“ და სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ყოფნის ლეგიტიმურობაზე ალაპარაკდნენ კრემლთან დაახლოებული რუსი ანალიტიკოსები.

რუსეთის სამხედრო ექსპერტებს კი, კრემლის ძლევამოსილების გაზრდის საღერღელი აეშალათ. ისინი უკრაინასაც გადასწვდნენ. მათი აზრით, კარგი იქნებოდა, მთიანი ყარაბაღის მსგავსად, რუსეთს სამშვიდობო კონტინგენტი „მეამბოხე“ დონბასშიც განლაგებინა. მათ ესმით, რომ იქ სხვა სიტუაციაა – უკრაინას გვერდით უდგანან აშშ და ნატო.

რუსეთის სამხედრო ექსპერტების აზრით, ამის გაკეთება ჯერ შეუძლებელია, ამას მომზადება სჭირდება – რუსეთმა ჯერ უნდა აღიაროს დონეცკისა და ლუგანსკის დამოუკიდებლობა, შემდეგ მიიღოს ისინი „ოდკბ“-ში, რაც გახდება ამ რეგიონში რუსეთის სამშვიდობოების შეყვანის საფუძველი.

ყველაფერი იმას მოასწავებს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიასა და უკრაინაში, გეოპოლიტიკური კონფლიქტი ღვივდება.

„სომხეთი უნდა მიხვდეს, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება“

პაატა ზაქარეიშვილი: „აზერბაიჯანმა ყარაბაღში დიდ გამარჯვებას მიაღწია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– პატონო პაატა, სომხეთ-აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი ინტერესია. ამბობენ, რომ რუსეთმა გაიმყარა პოზიციები კავკასიაში. რამდენად გვაქვს შფოთვის მიზეზი?

– ეს არის მცდარი და ზედაპირული შეფასებები, ქართულ აუდიტორიაზე გათვლილი, რომ რუსეთმა გაიმყარა პოზიციები. კი, რუსეთმა შეიძლება გაიმყარა პოზიციები, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია, რომ სხვა პროცესები გამყარდა და რუსეთის პოზიციის გამყარება არის ამის პასუხი. ეს არ იყო რუსეთის ინიციატივა და რუსეთის სურვილი. მთავარი რომ ვთქვათ, კავკასიასა და, კერძოდ, ყარაბაღის მიმართულებით სიტუაცია იყო გაყინული და ამას მიზანმიმართულად ყინავდა რუსეთი, რომ არაფერი მომხდარიყო.

– ახლა ვისი ინტერესით შეიცვალა ეს ვითარება?

– ეს ნამდვილად არ იყო რუსეთის ინტერესებში. აზერბაიჯანი ყოველთვის უკმაყოფილო იყო და სულ ცდილობდა, რაღაც ფორმით შეეცვალა სტატუსკვო. როგორც იქნა, იპოვა მოკავშირე თურქეთის სახით. თურქეთი გამოჩნდა და ამიტომ რუსეთს მოუხდა გამოფხიზლება. თურქეთმა გააძლიერა აზერბაიჯანი და აზერბაიჯანმა შეცვალა სტატუსკვო. რუსეთს არ შეუცვლია არაფერი. რუსეთი ფაქტის წინაშე დადგა.

– ანუ თურქეთის ჩარევის შედეგად და მისი დახმარებით გაიმყარა აზერბაიჯანმა პოზიციები?

– თურქეთის მხარში ამოდგომის შედეგად აზერბაიჯანმა მიაღწია უდიდეს წარმატებას. მან აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთს, რომელიც იყო აქამდე ყველაფრის ბატონ-პატრონი, უცებ მოუხდა მოკავშირის გადაგდება და სომხეთის ჩაძირვა. ეს არის უდიდესი უკანდახევა. აზერბაიჯანმა თავისას მიაღწია თურქეთის მხარდაჭერით და არა – რუსეთის.

რუსეთმა აზერბაიჯანს ყველაფერი დაუთმო, ოღონდ, ერთი პირობით, რომ განლაგებინა თავისი სამშვიდობოები. სწორედ ამის გამო მიიღო რუსეთმა ეს ჯილდო, 5 წლით სამშვიდობოები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანმა კი სამუდამოდ დაიბრუნა ყარაბაღი. რუსეთმა უნდა დაიცვას აზერბაიჯანის სუვერენიტეტი მისი მოკავშირე სომხეთისგან. ამიტომ ეს აქცენტები უნდა გადავალაგოთ.

– რას უნდა აკეთებდეს ჩვენი ხელისუფლება ამ დროს?

– წესით, ჩვენი ხელისუფლება უნდა მუშაობდეს ბაქოსთან და ანკარასთან, რომ გადაარჩინოს სომხეთი. დღეს სომხეთი გულაყრილია რუსეთზე და ეს სიტუაცია გამოსაყენებელია, რომ სომხეთი არ დაუბრუნდეს რუსეთს.

– სომხეთში დღეს საკმაოდ დაძაბული სიტუაციაა. სომხეთის პრემიერი ხომ არ გადაჰყვება ამ პროცესებს?

– ალბათ, ფაშინიანი გადაჰყვება ამ ყველაფერს. გააჩნია, რა ძალები მოვლენ იქ – ძალები, რომლებიც ისევ იტყვიან, რომ რუსეთი ძმა და მეგობარია თუ ძალები, რომლებიც იტყვიან, რუსეთმა გადაგვაგდო, გაგვწირა, წაგვართვა ყველაფერი და ამიტომ ჩვენ მივდივართ დასავლეთისკენო.

თუ დასავლური ძალები გაიმარჯვებენ, ეს ძალიან კარგი იქნება როგორც ჩვენთვის, ისე მთლიანად კავკასიისათვის. იქნებ დაიწყოს სომხეთში ეს მოძრაობა. სომხეთი მიხვდეს, რომ რუსეთი სანდო არ არის და საჭიროა დასავლეთის, ევროკავშირის, ნატოს შუამავლობით სომხეთიც, აზერბაიჯანიც და საქართველოც ერთად იყვნენ ნატოში. ხომ შეიძლება, ამ მიმართულებით დაიწყოს მოძრაობა და ნატომ დაინახოს, რომ თუ ამ სამივე სახელმწიფოს ერთად მიიღებს, ამით კავკასიაში გამყარდება დასავლური ღირებულებები იმაზე მეტად, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ.

ახალი ეტაპი დგება კავკასიაში სწორედ 100 წლისთავზე. 1921 წელს რუსეთმა დაიპყრო კავკასია და ზუსტად 100 წლისთავზე თურქეთი ბრუნდება კავკასიაში. თურქეთი ჩვენი მეგობარია და საქართველო მიდის ნატოში. საქართველომ უნდა დაიწყოს სერიოზული მოლაპარაკებები ნატოსთან. პომპეოს ჩამოსვლა ამის მშვენიერი წინაპირობაა.

– რას იტყვით პომპეოს ვიზიტზე?

– მართალია, პომპეო უკვე წარმავალია, წააგო მისმა პრეზიდენტმა, თუმცა მისი ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. ის აუცილებლად დაუსვამს საკითხს ჩვენს ხელისუფლებას არჩევნებთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია, ჩვენს ქვეყანაში იყოს დემოკრატია. ერთადერთი, ამის გამო გვიჭერს მხარს ამერიკა. ერთადერთი, დემოკრატია გვაქვს, მეტი არაფერი. ეს არ უნდა დავკარგოთ.

ნუ ვკანკალებთ რუსეთის ყოველ ნაბიჯზე, თორემ ასე წინ ვერ წავალთ. დროა, ვიმოქმედოთ.

ივანე მაჭავარიანი: „2021 წლიდან ეკონომიკის ზრდის ტენდენციები მაღალი ტემპებით აღდგება“

– მიუხედავად პანდემიისა, მოსალოდნელია, რომ 2021 წლიდან ეკონომიკის ზრდის ტენდენციები მაღალი ტემპებით აღდგეს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა გუშინ, 11 ნოემბერს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელ მერსედეს ვერა მარტინსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძეს შორის გამართული ერთობლივი ვიდეოკონფერენციის დროს.

ფინანსთა მინისტრმა მოკლედ მიმოიხილა გასული წლების პოზიტიური დინამიკა საქართველოს ეკონომიკაში და აღნიშნა, რომ 2020 წელს მთელი მსოფლიო შეეჯახა უპრეცედენტო მასშტაბის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ შოკს, რომელმაც ზეგავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზეც.

– კოვიდ 19-ის პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოს ეკონომიკური ცხოვრება. შესაბამისად, ამან უდიდესი დარტყმა მიაყენა ჩვენს ეკონომიკასაც. 2020 წელს, ქვეყნის ეკონომიკაში მოსალოდნელია ეკონომიკური კლება 4.5-5.0 პროცენტის ფარგლებში და ეს იმ ფონზე, როცა საქართველო წინა სამ წელს გადაბმულად ინარჩუნებდა მაღალი, 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის ტემპს. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე პერიოდში ჩვენ მიერ განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები წარმატებით აისახა საქართველოს საკრედიტო რეიტინგებზეც, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მისი თქმით, გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ეს პოზიტიური ტენდენციები.

– საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით ჩვენ პანდემიას საკმაოდ წარმატებული მიმდინარე პროგრამით შევხვდით. ამან საშუალება მოგვცა, სწრაფად მიგვეღო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა და გაგვევლო ამ უმნიშვნელოვანესი გამოწვევის პირველი ეტაპი. ამ ურთულეს პერიოდში, ჩვენ შევძელით მაქსიმალურად მოგვეცვა ყველა დაზარალებული სოციალური ჯგუფი, ბიზნესსექტორი და შეგვემსუბუქებინა კრიზისის უარყოფითი შედეგები. ეს მოიცავდა 375 მილიონი ლარის მოცულობის ჯანდაცვის, მილიარდ 150 მილიონი ლარის სოციალურ პაკეტებს, – განაცხადა მან.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, მთავრობის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯების ეფექტურობას ხაზს უსვამს შემფასებელი მისიაც.

– მისიის მიერ დადებითად არის შეფასებული ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებებიც. ჯამში, ჩვენ კერძო სექტორს შევთავაზეთ 1.5 მილიარდ ლარამდე მხარდამჭერი პაკეტები. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის გამოცოცხლებას და გადაარჩინა ჩვენი ეკონომიკის არა ერთი სისტემური დარგი, ამ შემთხვევაში აღვნიშნავდი მშენებლობის სექტორს. თქვენ იცით, რომ პანდემიის პირველ ეტაპზე მშენებლობის სექტორი თითქმის 50-პროცენტიან კლებას განიცდიდა, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

მან აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიისა, მოსალოდნელია, 2021 წლიდან ეკონომიკის ზრდის ტენდენციები მაღალი ტემპებით აღდგეს, 2021 წელს 4.3 პროცენტით მინიმუმ, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში – 5.5 პროცენტით. მისი თქმით, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია არა მარტო რეგიონში, არამედ ევროპაშიც.

– სავალუტო ფონდის მიერ 2021 წლის ეკონომიკის ზრდის პროგნოზის 4.3 პროცენტამდე ჩამოწევა ოქტომბერში გამოქვეყნებულ 5 პროცენტთან შედარებით, განაპირობა რეგიონულმა დაძაბულობამ და გლობალური პანდემიური მოვლენების გამძაფრებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ვაქცინის შექმნასთან დაკავშირებული მოლოდინების ზრდასა და რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივას პოზიტიური გავლენა ექნება 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზზე, – აღნიშნა ივანე მაჭავარიანმა.

მან, ასევე, ისაუბრა რეფორმების გაგრძელების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ სსფ-ის მისიის შეფასებითაც პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად კვლავაც მნიშვნელოვანია სტრუქტურული რეფორმების განხორციელება.

– ჩვენი მთავრობა იყო და რჩება რეფორმების ერთგული არა მხოლოდ აღმავლობის, არამედ სირთულეების დროსაც, – განაცხადა მან.

დასასრულს, ფინანსთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასა და მის ხელმძღვანელს თანამშრომლობისთვის.

– მადლობას ვუხდი ქალბატონ მერსედეს ვერა მარტინსა და მის გუნდს ნაყოფიერი თანამშრომლობისა და იმ წარმატებისთვის, რომლებსაც, მიუხედავად სირთულეებისა, ერთად მივაღწიეთ. ვიმედოვნებ, ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, – განაცხადა ივანე მაჭავარიანმა.

შაქარაშვილის საქმის პროკურორი: „ველოდებით გამამტყუნებელ განაჩენს“

ადვოკატი: „ჩემი კლიენტი გამართლდება“

ნანა გუგუტიშვილი

– სასურველის რეალობად წარმოჩენის მცდელობა.

ასე შეაფასა ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმის პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა დაცვის მხარის მიერ წარმოთქმული დასკვნითი სიტყვა.

გუშინ, 11 ნოემბერს, სასამართლო პროცესზე შაქარაშვილის საქმეზე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმის არსებითი განხილვა დასრულდა.

საბოლოო სიტყვით ისარგებლეს კანონთან კონფლიქტში მყოფმა არასრულწლოვნებმაც.

აღნიშნულ ეპიზოდზე ბრალდების მხარეს გამამტყუნებელი განაჩენის მოლოდინი აქვს.

– დაცვის მხარის ბოლო წარმომადგენლებმა დღეს დასკვნითი სიტყვა წარმოადგინეს. მოგახსენებთ, რომ ამ დასკვნაზე ჩვენი მოლოდინი არ იყო მაღალი, ჩვენი იმედი გამართლდა, ვინაიდან დამცველი საუბრობდა ფაქტებზე, დეტალებზე, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებიდან არ გამომდინარეობდა და მხოლოდ სასურველის რეალობად წარმოჩენის მცდელობა გახლდათ, რომელიც დაუსაბუთებელი იყო.

ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი რეპლიკა, კიდევ ერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, რომელიც თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით არის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საკმარისი.

ჩვენი მოლოდინი არის გამამტყუნებელი განაჩენი თითოეულ ბრალდებაში ყველა პირთან მიმართებაში, ვინაიდან მასალების გონივრული შეფასების საფუძველზე წარმოუდგენელია სხვა მოლოდინი იყოს, გარდა გამამტყუნებელი განაჩენისა, – განაცხადა გუგუტიშვილმა.

სხვა პოზიცია აქვთ ადვოკატებს.

– გამამტყუნებელ განაჩენს სჭირდება მტკიცებულებათა ერთობლიობა. მაშინ, როცა ბრალდების მხარეს არ შეუძლია ერთი მტკიცებულების წარმოდგენაც კი, ჩვენ გამამტყუნებელ განაჩენს არ ველოდებით, – განაცხადა ბრალდებულ ნიკოლოზ ცუცქირიძის ადვოკატმა არჩილ ბერიანიძემ.

არჩილ ბერიანიძე

მისი თქმით, ბრალდების მხარეს ერთი მტკიცებულებაც კი არ გააჩნია, რომელიც ხიდის ეპიზოდზე ფიზიკურ დაპირისპირებაში ნიკოლოზ ცუცქირიძის მონაწილეობას დაადასტურებს.

– ჩვენ არ ვახდენთ ფაქტების ინტერპრეტაციას, ჩვენ მოვახდინეთ კონკრეტული მოწმის ჩვენებების ციტირება და მივუთითეთ კონკრეტული დრო, სადაც ბრალდების მხარის მოწმეები უთითებენ ფაქტობრივ გარემოებაზე, რაც გამორიცხავს წარდგენილ ბრალს. შესაბამისად, განსხვავდება ინტერპრეტაცია და ციტირება მათ მიერ სასამართლოში დაფიქსირებული ფრაზებისგან.

ბრალდების მხარეს აღნიშნული დასკვნითი სიტყვა გადაცემული აქვს და შეუძლიათ, დეტალურად გაეცნონ იქ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს. ბრალდების მხარეს დავუსვი კითხვა, ერთი მტკიცებულება დაასახელონ ბრალდებულ ნიკოლოზ ცუცქირიძესთან მიმართებით, რომელიც დაადასტურებს მის მონაწილეობას ფიზიკურ დაპირისპირებაში ხიდის ეპიზოდზე. ამაზე პასუხი რეპლიკის დროს ბრალდების მხარისგან ვერ მივიღე.

როცა ბრალდების მხარე ამბობს, რომ მას აქვს გამართული, მტკიცებულებებით გამყარებული სისხლის სამართლის საქმე, რატომ ვერ მოაქვს ვერც ერთი მტკიცებულება იმის დამადასტურებელი, რომ ნიკოლოზ ცუცქირიძე ხიდის ეპიზოდში ჩართული იყო დაპირისპირებაში და ის ფიზიკურად გაუსწორდა კონკრეტულ პირს. როცა ასეთ კითხვაზე ბრალდების მხარე ვერ პასუხობს, არც სასამართლოს აქვს რაიმე სახის მტკიცებულება, რომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს.

ბრალდების მხარეს შეიძლება რაღაცის მოლოდინი ჰქონდეს, მაგრამ, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებიდან გამომდინარე, ვერ მექნება იმის მოლოდინი, რომ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს. აღნიშნული არ გამომდინარეობს სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან. გამამტყუნებელ განაჩენს სჭირდება მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაარწმუნებს სასამართლოს, რომ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, მაშინ როცა ბრალდების მხარეს არ შეუძლია ერთი მტკიცებულების წარმოდგენაც კი – მტკიცებულებათა ერთობლიობაზე საუბარი ზედმეტია, ჩვენ გამამტყუნებელ განაჩენს არ ველოდებით, – განაცხადა ბერიანიძემ.

ცნობისთვის, გიორგი შაქარაშვილის საქმეზე 6 არასრულწლოვანია დაკავებული. მათ ჯგუფურ ძალადობას, ძალადობის ორგანიზებას, მასში მონაწილეობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას ედავებიან.

„აბაზანაში შიშველი, დანით აჩეხილი ქალის ცხედარი იპოვა“

ბათუმში მკვლელობის ახალი დეტალები

ბათუმში ქალის მკვლელობის დეტალებს სამართალდამცავები არკვევენ. ჯერჯერობით უცნობია, პოლიციას ჰყავს თუ არა სავარაუდო დამნაშავე. შს სამინისტროში მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

„ამბების“ ცნობით, ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში 49 წლის ქალის ცხედარი მეგობარმა აღმოაჩინა. როგორც ირკვევა, მეგობარი მას ტელეფონზე დიდხანს ვერ უკავშირდებოდა და ამიტომ ბინაში მიაკითხა. იქ მისულს კი უმძიმესი სურათი დახვდა. აბაზანაში შიშველ მდგომარეობაში მყოფი, დასახიჩრებული ქალი იპოვა. მას სხეულზე ჭრილობები დანით ჰქონდა მიყენებული და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. სასწრაფოდ მომხდარი ძალოვნებს აცნობა და საქმეში სამართალდამცავები ჩაერთვნენ.

როგორც ჩანს, მკვლელობა ორი დღის წინაა ჩადენილი, რადგან მოკლული მეგობრებმა სწორედ ცხედრის აღმოჩენამდე ორი დღით ადრე ნახეს. სავარაუდოდ, მკვლელმა ის ცივი იარაღით მოკლა და დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა. ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს. წინასწარი ინფორმაციით, მას რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული, მათ შორის გულმკერდის არეში.

მოკლული ქალი ბელარუსიდან იყო საქართველოში ჩამოსული და ორი წელია, რაც ბათუმში ცხოვრობდა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, მოკლული მეზობლებთან არ კონტაქტობდა. ის სახლში გვიან ბრუნდებოდა და ამიტომაც პირადად არ იცნობდნენ. თუმცა ამბობენ, რომ სხვა დროს იმ ბინიდან ჩხუბი და ხმაური არ გაუგიათ.

არც მკვლელობის დღეს გაუგიათ რაიმე. სამართალდამცავებმა მიმდებარე ტერიტორიიდან სათვალთვალო კამერების ჩანაწერებიც ამოიღეს, თუმცა, არის თუ არა იქ რაიმე ხელჩასაჭიდი ან შემთხვევის ადგილზე იპოვეს თუ არა რაიმე სამხილი, ჯერჯერობით უცნობია.

– პირადად არ ვიცნობდი ამ ქალს, ბელარუსიდან ყოფილა ჩამოსული. თურმე 2 წელია, აქ ცხოვრობს. იმ დღეს გარეთ ხმაურზე გავედი, მაშინ მეზობლისგან გავიგე, რომ ქალი მოუკლავთ. არც ვიზუალურად მინახავს და არც ის ვიცი, რას საქმიანობდა. მეზობლები ამბობენ, დილით გადიოდა და საღამოს გვიან ბრუნდებოდაო. მარტო ცხოვრობდა. როგორც ჩანს, იმ დღეს სახლში მამაკაცთან ერთად იყო, მერე რა მოხდა მათ შორის და რატომ გაიმეტა დამნაშავემ სასიკვდილოდ, არ ვიცით.

ცხედარი სასტიკად არის დაზიანებულიო, ამბობენ. სხვადასხვა ვერსია განიხილება, ხომ იცით, ყველა თავის აზრს ამბობს. მეზობლები ამბობენ, კარგად ჩაცმული დადიოდაო. არ არის გამორიცხული, დამნაშავეს მისი გაძარცვა სურდა და ამ მიზნით მოკლა. თუმცა არ ვიცი, სახლიდან არის თუ არა რამე წაღებული. იმ მეგობარს ყველაფერი ეცოდინება, შესაძლოა, ისიც იცის, ვისთან ჰქონდა მას ბოლოს კონტაქტი ან ვის უნდა შეხვედროდა, – უთხრა „ამბებს“ ადგილობრივმა.

რა ვერსიაზე მუშაობს პოლიცია და ჰყავს თუ არა მას დამნაშავე, მალე გაირკვევა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

54 წლის მამაკაცმა არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალური ქმედება განახორციელა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული რ.მ., სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ბრალდებით, ხაშურში დააკავეს.

უწყების ცნობით, დანაშაული 11-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, წინასწარი შეცნობით, მეზობლად მცხოვრები არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს“, – ნათქვამია განცხადებაში.

მამაკაცი ბრალს არ აღიარებს. ამის შესახებ დაკავებულის ადვოკატმა განაცხადა.

დაკავებულის მეზობლები ამბობენ, რომ ბრალდებული წარსულში სამართალდამცავ უწყებაში მუშაობდა. ის დაცვის პოლიციის თანამშრომელი იყო.

– ამბობენ, გოგონას ეფერებოდაო, გაუპატიურება არ ყოფილა, გოგონა 14-15 წლისაა, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

„საღამოს 7 საათიდან დილის 8 საათამდე სახლში უნდა იყო“

მიხაილო თოდუას შინაპატიმრობის ვადა გაუხანგრძლივდა

გუშინ, 11 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მუსიკოს მიხაილო თოდუას პროცესი გაიმართა.

სასამართლომ ის ციხეში არ დააბრუნა, თუმცა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა პრობაციის ბიუროს მოთხოვნა და მას შინაპატიმრობის ვადა 2 საათით გაუხანგრძლივა.

უფრო კონკრეტულად, თუ აქამდე მიხაილო სახლში 21:00-დან 08:00-მდე იყო, ახლა ის შინაპატიმრობაში 19:00 საათიდან 8 საათამდე დარჩება.

– ვერ ვხვდები, საერთოდ რამის უფლება მაქვს, თუ არა“ – ეს კომენტარი გააკეთა მუსიკოსმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე. ის პრობაციის ბიუროს მოთხოვნას, რომ მსჯავრდებული ციხეში დაბრუნდეს, „გირჩის“ ივენთზე დაკვრას უკავშირებს და ამბობს, რომ მოთხოვნა არასამართლიანია.

მუსიკოსიც და მისი ადვოკატიც ფიქრობენ, რომ მიხაილოს ეს განკარგულება არ დაურღვევია, რადგან ის არა გასართობ საღამოზე, არამედ პოლიტიკურ შეხვედრაზე უკრავდა და პოლიტიკური შინაარსის შეხვედრები აკრძალული არ იყო.

მიხაილო თოდუა 2013 წლის სექტემბერში 12 გრამი მდმა-სთვის დააკავეს და 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. საპროცესო შეთანხმების შეთავაზების მიუხედავად, 20.000 ლარის არქონის გამო სასჯელს ციხეში იხდიდა. 6 წელი ციხეში ყოფნის შემდეგ, 2019 წელს, მან საპატიმრო დატოვა და სასჯელი შინაპატიმრობით შეეცვალა.

„გზა გადაკვეთა და გაჩერებაზე წაიქცა“

რუსთავში 69 წლის გივი მენთეშაშვილი გარდაიცვალა

რუსთავში ქუჩაში მამაკაცი გარდაიცვალა.

შემთხვევა მეგობრობის გამზირზე არსებულ ერთ-ერთ გაჩერებაზე მოხდა.

ინფო რუსთავის ცნობით, შუახნის მამაკაცმა საავტომობილო გზა გადაკვეთა, რის შემდგომაც გაჩერებაზე წაიქცა, დაბლა დაეცა და გონება დაკარგა.

70 წლამდე მამაკაცის გადარჩენას სასწრაფო-სამედიცინო დახმარების 2 ჯგუფი დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ცდილობდა. ექიმებმა გამოიყენეს ელექტრული აპარატი დეფიბრილატორიც, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მამაკაცის გარდაცვალება, სავარაუდოდ, გულის უეცარმა გაჩერებამ გამოიწვია.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

გარდაცვლილი 69 წლის გივი მენთეშაშვილია.

14 წლის ლუკა კოპალიანი გაჩერებაზე იპოვეს

„3-4 საათი ფეხით უვლია ორთაჭალიდან ყაზბეგის გამზირამდე“

გუშინ, 11 ნოემბერს, 14 წლის ლუკა კოპალიანი დაიკარგა.

დაკარგული მოზარდი პოლიციამ ყაზბეგის გამზირზე, ერთ-ერთ გაჩერებაზე იპოვა.

როგორც ლუკას დედა, ქეთი თიკანაშვილი „ამბებთან“ საუბარში ამბობს, სამართალდამცველებმა გაუჩინარებულ ბავშვს ქუჩის სათვალთვალო კამერების მეშვეობით მიაკვლიეს.

– სახლში ვიყავით ყველანი. ბავშვი ეზოში გავიდა და წამებში გაუჩინარდა. ფეხით უვლია 3-4 საათი ორთაჭალიდან ყაზბეგის გამზირამდე. შსს-ს წარმომადგენლებმა ამოიღეს კამერის ჩანაწერები და ერთ-ერთ გაჩერებაზე მიაკვლიეს. მადლობას ვუხდი მათ ყურადღებისთვის... ბავშვს არანაირი აღელვება არ ეტყობა. თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ფსიქოლოგებს მაინც ჩავრთავ, – ამბობს ლუკას დედა.

ლუკა აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდია.

ხაშურის სასტუმროში 4-მა ქალმა 1 ქალი აწამა და დამამცირებელი ფოტოები გადაუღო

გორის სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ხაშურის სიახლოვეს, ერთ-ერთ სასტუმროში მომხდარ ფაქტს ეხება.

გამოძიების ვერსიით, 2020 წლის გაზაფხულზე 4-მა ქალმა სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში მეგობარი გოგონა გამოკეტა იმ მოტივით, რომ ურთიერთობა იმ მამაკაცთან დაამყარა, რომელიც ერთ-ერთი მათგანის შეყვარებული იყო.

„ქართლის“ ცნობით, ჯგუფის წევრებმა გოგონას დასჯა გადაწყვიტეს. მათ მას ჯერ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ გადაუღეს ფოტოები დამამცირებელ გარემოებაში და გაუგზავნეს მამაკაცს.

დაკავებულებს შორისაა სასტუმროს მენეჯერიც, რომელმაც გოგონას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მას ასევე ბრალი წაუყენეს იმაში, რომ სასტუმრო გამოიყენა პროსტიტუციის მიზნით.

დაკავებულებს შორისაა სასტუმროს თანამშრომელი, რომელმაც პოლიციას დანაშაულის შესახებ არ შეატყობინა.

2 დაკავებულს ბრალი ჯგუფურად წამების მუხლით წაუყენეს, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პირველი პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.

მესამე ქალს ბრალი 3 მუხლით წაუყენეს. ეს არის ცემა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა.

მეოთხე ქალი კი დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო ელოდება მსჯავრს.

სამგორში ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი ბესიკ გაზდელიანი დააკავეს

სამგორის მე-6 საოლქო საარჩევნო კომისიასთან ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი ბესიკ გაზდელიანი დააკავეს.

გაზდელიანი თანამოაზრეებთან ერთად კომისიის შენობასთან აქციას მართავდა, როდესაც შენობის შესასვლელთან ბიძინა ივანიშვილის გამოსახულებით სტიკერის დაკვრა ცადა.

სამართალდამცველებმა ის სწორედ ამ დროს დააკავეს.

გაზდელიანმა დაკავებამდეც ცადა სტიკერის გაკვრა შენობასთან, რასთან დაკავშირებითაც გაფრთხილება მიიღო ადგილზე მობილიზებული პოლიციის მხრიდან.

სტიკერის ხელმეორედ გაკვრის მცდელობისას კი ის პოლიციამ დააკავა.

ერევანში აქციაზე 129 ადამიანი დააკავეს

ერევანში, თავისუფლების მოედანზე მიმდინარე აქციაზე სამართალდამცავებმა 129 ადამიანი დააკავეს.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოედანზე ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი, რომლებიც სკანდირებდნენ: „ფაშინიანი მოღალატე!“

10 ნოემბერს სომხეთის 17 პარტიის საბჭომ დააანონსა, რომ ერევანში 11 ნოემბერს საპროტესტო აქცია გაიმართებოდა. შეკრებილი მოქალაქეები მთიან ყარაბაღში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შესახებ მიღებულ განცხადებას აპროტესტებენ, რომელსაც სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთად მოაწერა ხელი.

საპროტესტო გამოსვლები მაშინვე დაიწყო, როგორც კი ნიკოლ ფაშინიანმა აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერის შესახებ საჯაროდ განაცხადა.

10 ნოემბერს დემონსტრანტები მთავრობისა და პარლამენტის შენობებში შეიჭრნენ. რამდენიმე მათგანი პარლამენტის სპიკერს თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა. არარატ მირზოიანი სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

არეულობის დროს ნიკოლ ფაშინიანი აშშ-ის საელჩოს შენობაში იმალებოდა.

ტრამპმა თავდაცვის მინისტრი გადააყენა

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა თავდაცვის მინისტრი მარკ ესპერი გადააყენა.

თავდაცვის მინისტრის მოვალეობას დროებით შეასრულებს ნაციონალური ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი მილერი.

ბაჰრეინის პრემიერ-მინისტრი გარდაიცვალა

ბაჰრეინის პრემიერ-მინისტრი, შეიხი ხალიფა ბინ სალმანი ალ ხალიფა 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პრემიერ-მინისტრი აშშ-ის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობდა, თუმცა უცნობია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რა პრობლემა ჰქონდა ხალიფა ბინ სალმანი ალ ხალიფას.

ბაჰრეინის მეფის გადაწყვეტილებით, 12 ნოემბრიდან ქვეყანაში ერთკვირიანი გლოვა გამოცხადდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

კუზიანმა ვეშაპმა კინაღამ ორი ქალი გადაყლაპა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ლუის-ობისპოს მკვიდრი ორი ქალი კაიაკით სეირნობის დროს კუზიან ვეშაპს გადააწყდა, რომელმაც ისინი კინაღამ გადაყლაპა.

ჯული მაკსორლი და მისი მეგობარი ლიზ კოტრიელი ავილა-ბიჩის სანაპიროს მახლობლად კაიაკებით ვეშაპების სანახავად წავიდნენ. ვეშაპები მათგან დაახლოებით ცხრა მეტრის მანძილზე იმყოფებოდნენ.

მოულოდნელად ქალები თევზების დიდი გუნდის შუაგულში აღმოჩნდნენ და ვეშაპმა პირდაპირ მათკენ გაცურა.

– წყალში თევზების დიდი გუნდი შევნიშნე და ვეშაპიც მოცურდა. იმ წამს გავიფიქრე: „ოჰ, არა, ის ძალიან ახლოსაა!“ – იხსენებს მაკსორლი. მან მომხდარი ვიდეოზე გადაიღო.

– ვეშაპი პირდაპირ ჩემს სახესთან იყო. მოულოდნელად ზევით ამისროლა და შედეგად წყალში აღმოვჩნდი. გავიფიქრე, ვეშაპისთვის მებიძგა, რომ გზიდან ჩამომეცილებინა. ეს ყველაზე უცნაური აზრი იყო. შემდეგ კი მივხვდი, რომ წყალქვეშ ვიყავი, – ამბობს კოტრიელი.

ორივე ქალმა წყლის ზედაპირზე ამოყვინთვა მშვიდობიანად მოახერხა. მათ მისაშველებლად შემთხვევის ადგილზე საპსერფერები და სხვა კაიაკერები მივიდნენ. მათ ეგონათ, რომ ვეშაპმა ქალების ნავი გადაყლაპა, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. ისინი კაიაკში ჩასხდნენ და ნაპირისკენ გაცურეს.

აღნიშნული ინციდენტის შედეგად ქალები არ დაშავებულან, მხოლოდ მანქანის გასაღები დაკარგეს.

ათი წლის გოგონამ დედა გადაარჩინა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს მკვიდრმა ათი წლის გოგონამ დედა გადაარჩინა, რომელსაც ინსულტი დაემართა.

მიმდინარე წლის აპრილში სიენა ლივინგსტონს დილით გაეღვიძა, კომპიუტერი აიღო და მეორე სართულზე ავიდა სამეცადინოდ. ამ დროს კი მისი 50 წლის დედა კიმბერლი ლივინგსტონი დილის ვარჯიშს ასრულებდა.

– ვარჯიშის შესრულება დავიწყე და ვიგრძენი, როგორ დამიარა სხეულში რაღაც ტალღამ. მივიხედე, და რაც არ უნდა უცნაური იყოს, შევტრიალდი და დავეცი, – იხსენებს კიმბერლი.

– დავინახე, რომ დედა წამოდგომას ვერ ახერხებდა და რაღაცას ლუღლუღებდა. ამან შემაცბუნა და შემაშინა, – ამბობს გოგონა. სიენამ მაშინვე ხელი სტაცა ტელეფონს და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. შემდეგ მომხდარის თაობაზე ნათესავებს მისწერა. სიენას გზავნილი პირველმა ბებიამ ნახა და კიმბერლის დას დაუკავშირდა.

კიმბერლის ინსულტი დაემართა. ის დროულად გადაიყვანეს საავადმყოფოში, რის გამოც მას ქირურგიული ჩარევა და შესაბამისად ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივი მკურნალობა აღარ დასჭირდა.

შვილის სწრაფი რეაქციის წყალობით კიმბერლი სრულად გამოჯანმრთელდა. მან სიენას მადლობის ნიშნად ლეკვი აჩუქა, რომელიც მას ასე ძალიან სურდა.

მძარცველებმა ბანკი გაძარცვის შემდეგ კანალიზაციის მილიდან დატოვეს



იტალიის ქალაქ მილანში შეიარაღებულმა მძარცველებმა მათ მიერ გაძარცული ბანკი საკანალიზაციო მილიდან დატოვეს.

აღნიშნული დანაშაული სამშაბათს 3 ნოემბერს მოხდა. ორი მძარცველი ბანკ კრედიტ აგრიკოლა-ს განყოფილებაში მთავარი შესასვლელიდან შეიჭრა და იარაღი მის თანამშრომლებს მიუშვირეს. ამის შემდეგ საკანალიზაციო მილიდან ბანკში კიდევ ორი მძარცველი შევიდა. სანამ ისინი სეიფებს ხსნიდნენ, ბანკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაქცევა მოახერხა. დანარჩენები მძარცველებმა მძევლებად აიყვანეს. ამ დროს ბანკის შენობა ათეულობით პოლიციის თანამშრომელმა ალყაში მოაქცია. ბოროტმოქმედებმა შენობის სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სისტემა აამოქმედეს, ისარგებლეს არეულობით და კანალიზაციის მილიდან დატოვეს ბანკის შენობა, მათ პოლიციელები გამოედევნენ, თუმცა მათი დაჭერა ვერ შეძლეს.

ძარცვის დროს ბოროტმოქმედებმა 20 ინდივიდუალური სეიფის გახსნა და გაძარცვა მოასწრეს. თუ რა თანხის წაღება მოახერხეს მძარცველებმა, უცნობია.

მეთევზემ მოკლა ალიგატორი, რომელიც მასზე ნადირობდა

ამერიკის ფლორიდის შტატის მკვიდრმა ჰარპუნით მოკლა ოთხმეტრიანი ალიგატორი, რომელმაც არა ერთხელ სცადა მას თევზაობის დროს მიპარვოდა.

მეთევზე კორი კეპსი ამტკიცებს, რომ მასზე მონადირე ალიგატორს სამი წლის განმავლობაში უთვალთვალებდა.

– ბოლო ორ თვეში სამჯერ ვიმყოფებოდი აქ და ვთევზაობდი, ის კი ჩემზე ნადირობდა, – განაცხადა კეპსმა.

ოქტომბერში ამერიკელმა თავისი დაუძინებელი მტერი იმ დროს შენიშნა, როდესაც მდინარე აპალაჩიკოლაზე ნავით მიცურავდა. მან მაშინვე დაურეკა ნაცნობს, რომელსაც ალიგატორებზე ნადირობის უფლება ჰქონდა. მეორე დღეს ისინი მდინარეზე დაბრუნდნენ და მტაცებელი რეპტილია მოკლეს.

მოკლული ალიგატორის ზომებმა კეპსის ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

– ჩვენ ვიცოდით, რომ ის დიდი იყო, მაგრამ არა ასეთი ზომის, როგორიც სინამდვილეში აღმოჩნდა ნაპირზე ამოთრევის შემდეგ, – აღიარა მეთევზემ.

ალიგატორის სიგრძემ 396 სანტიმეტრი, ხოლო წონამ 457 კილოგრამი შეადგინა. მეთევზეს და მის მეგობარს სამ საათნახევარი დასჭირდათ იმისთვის, რომ მოკლული რეპტილია 30 მეტრში დატოვებულ ნავამდე მიეთრიათ.

თუთიყუშმა პატრონი გააღვიძა და ცეცხლში დაღუპვას გადაარჩინა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენში თუთიყუშმა პატრონი ცეცხლში დაღუპვას გადაარჩინა.

ანტონ ნგუიენი ადრე დაწვა დასაძინებლად. მალე ის თუთიყუშის, სახელად ერიკის ყვირილმა გააღვიძა. ფრინველი პატრონის სახელს გაჰყვიროდა.

– ტკაცუნის ხმა გავიგე და ერიკმა ყვირილი მორთო. გამეღვიძა და ბოლის სუნი ვიგრძენი, – განაცხადა ავსტრალიელმა.

თუთიყუშის გაფრთხილებამ ნგუიენს იმის დრო მისცა, რომ ჩაეცვა, თავისი ფრინველისთვის ხელი დაევლო და გარეთ გამოსულიყო, სანამ სახანძრო სიგნალიზაცია ამუშავდებოდა.

– ერიკს ხელი ვტაცე, კარი გავაღე და სახლის უკანა ნაწილი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ჩანთა ავიღე, გავიქეცი და სახლის პირველი სართული გადავკეტე, – იხსენებს მამაკაცი.

სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა ცეცხლის სხვა შენობებზე გავრცელების თავიდან აცილება შეძლეს, ხოლო ნგუიენის სახლი მთლიანად დაიწვა. ხანძრის გაჩენის მიზეზს იძიებენ.

დიდი ხნის შეთანხმების თანახმად, დები მოგებას შუაზე გაიყოფენ

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ რედლანდ-სიტიში მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და დიდი ხნის შეთანხმების თანახმად, მოგებული თანხის ნახევარს დას გაუნაწილებს.

ორი და მუდმივად ყიდულობდა სხვადასხვა ლატარიის ბილეთს. ოდესღაც ისინი შეთანხმდნენ, რომ თუ ერთ-ერთი მათგანი მსხვილ თანხას მოიგებდა, მის ნახევარს დას გაუნაწილებდა.

შაბათს გამართული ლატარიის გათამაშების შედეგად ერთ-ერთმა დამ 1,4 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო. გათამაშების გამარჯვებულმა განაცხადა, რომ მიცემულ სიტყვას შეასრულებდა და მოგებული თანხის ნახევარს დას მისცემდა და იქვე აღნიშნა, რომ ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი თუ რაში დახარჯავდა მოგებული თანხის საკუთარ წილს.

ძაღლები კორონავირუსის ტესტებზე ეფექტურები აღმოჩნდნენ

სამსახურებრივი ძაღლები, რომლებიც ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკის აეროპორტში ჩასულ მგზავრებს შორის კორონავირუსით დაინფიცირებულების აღმოსაჩენად გამოიყენებიან, 100 პროცენტიანი ეფექტურობით გამოირჩევიან.

გამოცდის დროს 16-მა ცხოველმა, რომლებიც სმენებად მუშაობენ, 2200 მოხალისის ანალიზები შეამოწმეს. დღეში საშუალოდ 100 მგზავრის შემოწმება ხერხდება. ექსპერიმენტი ცხოველების მონაწილეობით დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

კვლევის ფარგლებში აეროპორტში ჩამოსული მგზავრები ერთ რიგად მწკრივდებიან, რის შემდეგაც მათ სთხოვენ, კანი ხელსახოცით გაიწმინდონ. ბიომასალას ქილაში ათავსებენ და შემდეგ ძაღლებს დასაყნოსად აძლევენ. ცხოველები იმგვარად არიან გაწვრთნილები, რომ ისინი იგნორირებას უკეთებენ უარყოფით შედეგს, ხოლო დადებითზე რეაგირებას ახდენენ. ისინი სპეციალისტის ყურადღებას ყეფით, „წოლის“ მდგომარეობით ან თათით იქცევენ. ძაღლის მიერ ასეთი ტესტის აღმოჩენის შემდეგ მგზავრები დამატებით კვლევას გადიან.

ჰელსინკის უნივერსიტეტის თანამშრომლის ანა ჰილმ-ბიერკმანის თქმით, სასამსახურო ძაღლების ამ მიზნით გამოყენება შესაძლოა იაფ და სწრაფ ალტერნატივად იქცეს მგზავრებისთვის აეროპორტებში ტესტირების ჩასატარებლად კორონავირუსით დაინფიცირების გამოვლენისთვის. ცხოველები მაღალი სიზუსტით და სისწრაფით ავლენენ დაინფიცირებას, ვიდრე სამედიცინო ტესტები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

თბილისის ჯაზფესტივალი 13-14 ნოემბერს გაიმართება

თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალი 13-14 ნოემბერს გაიმართება. ორი დღის განმავლობაში ჯაზის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ, მსოფლიო ვარსკვლავებს მოუსმინონ.

ჯაზფესტივალს ანტონიო სანჩესი პროექტ „ბირდმენით“ გახსნის, 14 ნოემბერს კი მსმენელის წინაშე წარდგებიან აიანა უიტერ-ჯონსონი და მინო სინელუ და ნილს პეტერ მოლვაერი.

მსოფლიო პანდემიის მიუხედავად, თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალის ორგანიზატორებმა შეძლეს და ჯაზის მოყვარულებს მისცეს შესაძლებლობა, საუკეთესო მუსიკოსებს მოუსმინონ.

ბავშვთა მუსიკალური აღზრდის ტრადიციას „ნიჭიერთა ათწლედში“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედს“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ „ბავშვთა მუსიკალური აღზრდის ტრადიციას ნიჭიერთა ათწლედში“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით, სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედმა“, როგორც მუსიკალური განათლების გამორჩეული ტრადიციის მქონე ისტორიულ-კულტურულმა კერამ, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულმა ინსტიტუციამ, სახელმწიფოს მხრიდან სათანადო აღიარება მოიპოვა.

უნიკალური ტრადიციებისა და ისტორიული წარსულის მქონე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“ თითქმის საუკუნეს ითვლის. ამ სკოლაში აღიზარდნენ მუსიკოსები, რომელთაც შექმნეს XX საუკუნის ქართული სამუსიკო ხელოვნების ისტორია და საკუთარი წვლილი შეიტანეს მსოფლიო საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში. „ნიჭიერთა ათწლედში“ აღიზარდა კომპოზიტორთა, მუსიკოს-შემსრულებელთა, მუსიკისმცოდნეთა მრავალი თაობა, რომელთა მოღვაწეობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარებასა და მის საერთაშორისო აღიარებაში. სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“ წარმოადგენს „ბრენდს“. თავისი გამორჩეული სწავლების მეთოდოლოგიითა და მიღწეული შედეგებით იგი ქართული კულტურისა და სახელოვნებო განათლების ერთ-ერთი უნიკალური კერაა.

წლების განმავლობაში სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ის უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალთა გუნდია. „ნიჭიერთა ათწლედის“ პედაგოგთა ფანატიკური შრომით შემონახულია და ვითარდება სამუსიკო სწავლების ის გამორჩეული მეთოდოლოგია, რომელიც შექმნეს „ნიჭიერთა ათწლედის“ წინა თაობების პედაგოგებმა.

მაჩაბლის ქუჩაზე დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი გაიხსნება



დავით სარაჯიშვილის სახლის საზეიმოდ გახსნიდან 115 წლისთავზე მაჩაბლის 13-ში დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი გაიხსნება.

მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს შესაძლებელობა ექნება, გაეცნოს დავითისა და ეკატერინეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო დეტალებს, კედლებზე დატანილი მათი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მომენტებით.

დავით სარაჯიშვილი არა მხოლოდ პირველი ქართული კონიაკის მწარმოებელი, არამედ, ის ადამიანიც იყო, რომლის ქველმოქმედებამ მნიშვნელოვნად განაპირობა XX საუკუნის საქართველოს თითქმის ყველა სფეროს წარმატება. შესაბამისად, დავით სარაჯიშვილის მუზეუმი არის მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორია, რომელსაც, ვფიქრობთ, ბევრი დამთვალიერებელი ეყოლება და მალე დაიკავებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს თბილისის ღირსშესანიშნაობებს შორის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დღეს დიდი მატჩია

დღეს დიდი მატჩია, რომელსაც მოუთმენლად ველოდებით – ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფის ფინალურ შეხვედრაში საქართველოს ეროვნული გუნდი ჩრდილოეთ მაკედონიას დაუხვდება. „ბებერი კონტინენტის“ უმთავრეს საფეხბურთო ფორუმზე ასე ახლოს არც ერთი ნაკრები არ ყოფილა. ორივე ბანაკში საბრძოლო განწყობაა და შეხვედრისთვის მაქსიმალური მონდომებითა და შემართებით ემზადებიან.

საქართველოს ნაკრებში რამდენიმე ფეხბურთელმა ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა. როგორც შემდგომ გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ – ხვიჩა კვარაცხელიასა და ლევან შენგელიას კორონავირუსი დაუდგინდათ. განსაკუთრებით კვარაცხელიას ამბავია შემაშფოთებელი, რადგან ყაზანის რუბინის გარემარბი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. არც შენგელიას არყოფნაა იოლი გადასატანი, რადგან ორივე მათგანს ერთ ფლანგზე შეუძლიათ თამაში.

მატჩამდე პრესკონფერენცია გამართეს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვაისმა და ნახევარმცველმა ნიკა კვეკვესკირმა.

ვლადიმირ ვაისი:

– ეს მატჩი ჩვენთვის, ამ თაობისთვის და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩვენი 5-წლიანი შრომის წარმატებულად დაგვირგვინების იმედი გვაქვს.

წინა პრესკონფერენციაზე ვუპასუხე კითხვას, თუ რომელი გუნდი იქნებოდა სასურველი მოწინააღმდეგე ფინალში და ვთქვი, რომ ჩვენი მეტოქე არა რომელიმე ნაკრები, არამედ კორონავირუსი იყო. ასეც ხდება, ხვალ კვარაცხელიასა და შენგელიას გარეშე უნდა ვითამაშოთ. ჩვენ გვყავს სხვა კარგი ფეხბურთელებიც, რომლებსაც აქვთ ხარისხი, ამბიცია და სურვილი, რომ ქართველი ხალხის წარმატებისთვის ითამაშონ. ორივე გუნდს აქვს პრობლემები – ტრავმებითა და კორონავირუსით გამოწვეული დანაკლისი.

ეს იქნება არა ტაქტიკური, ტექნიკური ან ინდივიდუალური დაპირისპირება, ეს იქნება კომბინირებული ბრძოლა, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ფსიქოლოგიას მიენიჭება.

როგორც ეს ჩვენ წინა მატჩებში ვნახეთ, ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრებმა განსხვავებული ტაქტიკით ითამაშა და ჩვენ ორივე სქემისთვის მზად ვართ. ვიცით, მეტოქეს რაც უნდა დავუპირისპიროთ და, იმედი მაქვს, ხვალ საქართველო იზეიმებს.

ნიკა კვეკვესკირი:

– ჩვენი განწყობა ყველასთვის გასაგებია. მომზადებული ვართ, რათა მივაღწიოთ წარმატებას გუნდისა და მთელი საქართველოსთვის. რა თქმა უნდა, კვარაცხელიასა და შენგელიაზე ინფორმაცია გულშემატკივარზე ადრე გავიგეთ და ეს ძალიან მძიმე იყო. კორონავირუსი 2020 წელს ბევრი ადამიანის უბედურებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი გახდა. რთულია მეგობრის ცრემლიანი თვალების ყურება, როცა იგებს, რომ ამის გამო ოცნების თამაშს გამოტოვებს. ვიცოდით, რომ შეიძლებოდა გვქონოდა გარკვეული და მნიშვნელოვანი დანაკლისი და ამისთვის მზად ვიყავით. ჩვენი მთავარი დადებითი მხარე ვაისის ფორმაციის ხელმძღვანელობითი ყოველთვის იყო გუნდურობა და ეს მაკედონიასთან მოედანზე გამოჩნდება. ჩვენ ოცნების თამაშს ვთამაშობთ და ყველაფერს გავაკეთებთ მოსაგებად. უნდა მოვიგოთ გულშემატკივრებისთვისაც, რომლებიც თამაშს ვერ დაესწრებიან, სოციალური ქსელებით თუ ქუჩაში მატჩამდე დახვედრებით ვგრძნობთ მათ მხარდაჭერას და ისინი უნდა გავახაროთ. ჩვენც მოუთმენლად ველოდებით ამ დღეს, შიგნიდან ცეცხლი გვიკიდია. ევროპაზე გასვლის სიხარულით საქართველო უნდა „დაინგრეს“.

ვაისი რომ დღეს გუნდს სათამაშოდ 4-2-3-1 სისტემით გაიყვანს, ეჭვი არ გვეპარება. სლოვაკი სპეციალისტი მუდმივად ასე თამაშობს და, არა გვგონია, ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის ექსპერიმენტს მიმართოს.

დიდი ალბათობით, კარში გიორგი ლორია ჩადგება, დაცვაში მარჯვნივ ოთარ კაკაბაძე დადგება, ცენტრში – გურამ კაშიასა და სოლომონ კვირკველიას დუეტი. თუმცა არც დავით ხოჭოლავაა ცუდ ფორმაში, მით უფრო ბოლო მატჩებში კარგად იდგა მადრიდის რეალთან, ინტერთან, კიევის დინამოსთან...

და ჩვენი ყველაზე სუსტი წერტილი, რომელიც უკვე მაკედონიელებმაც იციან და იქაური პრესა პირდაპირ წერს, რომ მათმა ნაკრებმა საქართველოს მარჯვენა ფლანგიდან უნდა უტიოს.

„საქართველოს ნაკრების მთავარი სუსტი წერტილი დაცვის მარცხენა ფლანგია. მათ ამ პოზიციის ნატურალური ფეხბურთელი არ ჰყავთ და, ალბათ, როგორც მნიშვნელოვან თამაშებში ხდება, იქ ლაშა დვალს დააყენებენ. ესაა ის პოზიცია, რომლიდანაც შეგვიძლია, მეტოქეს შევუტიოთ და პრობლემები შევუქმნათ. გავიხსენოთ, რომ თბილისში გამართული მატჩისას სტეფან რისტოვსკიმ გოლი მას შემდეგ გაიტანა, რაც ქართველები დაცვის მარცხენა ფლანგზე შეცდნენ“, – წერენ მაკედონიელები.

თუმცა, დვალის გარდა, მარჯვენა ფლანგზე თამაში შეუძლიათ გიორგი ნავალოვსკის, ჯიმი ტაბიძეს, გია გრიგალავასა და ჯაბა ჯიღაურს.

საყრდენებად ჯაბა კანკავა და ნიკა კვეკვესკირი დადგებიან. ვაისი ამ დუეტს ბოლომდე ენდობა. ალბათ, უფრო იმიტომაც, რომ ორივე ფეხბურთელი ყაზახურ ტობოლში თამაშობს და მოედანზე ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. არადა, ვაისს ამ პოზიციაზეც შეუძლია ვარირება, მაგრამ ეს კანკავას არ ეხება.

თორნიკე ოქრიაშვილი მარცხნიდან შეუტევს, ცენტრში ვაკო ყაზაიშვილი დადგება, ხოლო მარჯვნივ უკვე პრობლემაა. ვაისმა, შესაძლოა, საბა ლობჟანიძე გამოიყენოს, მაგრამ, არ არის გამორიცხული, ამ პოზიციაზე ნათამაშებ ჯიღაურს ენდოს, ცენტრში გვილია დააყენოს, ყაზაიშვილი ფლანგზე გადასწიოს და ოქრიაშვილი ცრუ თავდამსხმელად ათამაშოს.

მეორე ვერსია სარწმუნო უფრო იმიტომ მოჩანს, რომ არც ფორვარდის პოზიციაზე მოთამაშე კონკრეტული ფეხბურთელია გამოკვეთილი: გიორგი ქვილითაია, ნიკა კაჭარავა, ელგუჯა ლობჟანიძე და ბექა მიქელთაძე. სხვათა შორის, მიქელთაძე ვაისმა ახსენა კიდეც და, არ არის გამორიცხული, დებიუტანტი შეცვლაზე ათამაშოს.

ეს ჩვენეული ვერსიაა. თუ რას ფიქრობს ვაისი, დღეს გამოჩნდება. ისე, ჩვენც მძიმე საქმე შევეჭიდეთ – ვაისის ფიქრების ამოცნობა ურთულესი საქმეა და არ გამორიცხოთ, შემადგენლობაში რამე სიახლე ან სიურპრიზი იყოს...

გადავიდეთ მაკედონიაზე, რომელიც ბოლო მომენტამდე თბილისში სრული შემადგენლობით მოდიოდა, მაგრამ შემადგენლობა გვარიანად აერია. გავრცელებული ცნობებით, გუნდს 4 ფეხბურთელი დააკლდება: ენეს ბარდი, არიან ადემი, კირე რისტესკი და კრსტე ველკოსკი. აქედან ბარდი და ადემი გუნდისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. თუმცა ჩვენ ჩვენი ვიდარდოთ.

ახლა ანგელოვსკი და მისი საფეხბურთო რაზმი გავიცნოთ.

ვაისის მსგავსად, ანგელოვსკის საყვარელი ტაქტიკური განლაგებაა 4-2-3-1. თუმცა ჩვენებთან ერთი შეხვედრის დროს 3-4-2-1 ტაქტიკური განლაგებაც გამოიყენა.

კარს 26 წლის სტოლე დიმიტრევსკი დაიცავს, რომელიც ესპანური რაიო ვალეკანოს ფეხბურთელია, ზურგს გამოცდილება და სათამაშო კლასი უმაგრებს.

დაცვითი ოთხეული, სავარაუდოდ, ასეთი იქნება: რისტოვსკი-ველკოვსკი-მუსლიუ-ალიოსკი. წესით, აქ დარკო ველკოვსკის ნაცვლად ზემოთ ნახსენები რისტესკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფეხბურთელს კორონავირუსზე დადებითი პასუხი მიუვიდა. ველკოსვსკის დაცვის ცენტრში ვისალ მუსლიუ შეუწყვილდება.

ძალიან საშიშია ფლანგები – ეზგან ალიოსკი, რომელიც პრემიერლიგური ლიდსის ღირსებას იცავს და შტეფან რისტოვსკი. ორივე ფეხბურთელს უყვარს შეტევაში წასვლა და რისტოვსკიმ თბილისში გოლიც გაგვიტანა სწორედ იმ ფლანგიდან, მაკედონიელებმა სისუსტეზე რომ გაამახვილეს ყურადღება.

მართალია, გოლი რისტოვსკიმ გაგვიტანა, თუმცა მარცხენაფლანგელი ალიოსკი უფრო სახიფათოა. როგორც გითხარით, შეტევაში ხშირად ერთვება და ვაისის გადაწყვეტილება, რომ კვარაცხელია მარჯვნივ დააყენოს, ცუდი ან არასწორი არ არის – ხვიჩამ საკუთარი შეტევებით უნდა მოუსპოს ალიოსკის წინ წასვლის საშუალება.

საყრდენ ზონაში ადემის ნაცვლად შტეფან სპიროვსკის, წესით, ბობან ნიკოლოვი უნდა შეუერთდეს. სიმართლე ვთქვათ, აქ უპირატესობა უნდა გვქონდეს. უფრო საშიშია მათ წინ მოქმედი სამეული, რომელიც ბარდის არყოფნაში მალიორკას ფორვარდმა ალეკსანდარ ტრაიაკოვსკიმ, ტიხომირ კოსტადინოვმა და ელიფ ელმასმა უნდა შეავსონ. განსაკუთრებით სახიფათოა ელმასი, რომელიც ამჟამად იტალიური ნაპოლის ღირსებას იცავს. მისი სატრანსფერო ღირებულება 18 მილიონი ევროა.

შეტევაში უბერებელი, 37 წლის გორან პანდევი იქნება, რომელსაც, ქართველების მსგავსად, სანუკვარი ოცნების ახდენა მოსვენებას არ აძლევს. ვეტერანი ფეხბურთელი, ასაკის მიუხედავად, მშვენიერ ფორმაშია და ამ ფორმაციის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და გამორჩეული ფიგურაა. თანაგუნდელები მას ახასიათებენ, როგორც ნამდვილ მეომარს, რომელიც მოედანზე ყველაფერს აკეთებს და მისი მებრძოლი ხასიათი მარტივად გადადის თანაგუნდელებზე. პანდევი ამჟამად იტალიურ ჯენოაში თამაშობს.

თუმცა ანგელოვსკის შეტევაში სხვა არჩევანიც აქვს – უდინეზეს შემტევი ილია ნესტოროვსკი და ფრანგული შამბლის თავდამსხმელი ვლატკო სტოიანოვსკი. სავარაუდოდ, პანდევი ასაკის გამო ბოლომდე მოედანზე ვერ დარჩება და ამათგან რომელიმეს მის შემცვლელად უნდა ველოდოთ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მეტოქე საკმაოდ თავდაჯერებულია და ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას არ ერიდება, ანგელოვსკი ამბობს, რომ ისტორიული მატჩი თბილისში კი არა, ევროპის ჩემპიონატზე ავსტრიის წინააღმდეგ იქნება.

მოკლედ, მეტოქე ამბიციურად ჩამოვიდა. ჩვენ უმაყურებლოდ ვხვდებით და საქართველოს ნაკრების გულშემატკივრობა დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში 21:00 საათიდან შეგეძლებათ.

ახალგაზრდა ძიუდოისტთა 8 მედალი

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატზე 8 მედალი მოიპოვა და გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. პირველ დღეს ნაკრებმა 3 მედალი მოიგო, ხოლო მეორე დღეს 5 მედალს დაეუფლა.

პირველ საჭიდაო დღეს 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ჯაბა პაპინაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიგო. ჯაბამ ალესანდრო არამუს იპონით აჯობა.

იმავე წონით კატეგორიაში თემურ ნოზაძე ფინალში გავიდა და რუს კონსტანტინ სიმეონიდისთან დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ მსაჯებს მეორე ვაზარის გაუქმება შეეძლოთ.

კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი ბაგრატ ნინიაშვილმა (66) მოიპოვა. მან ბრინჯაოს მედლისთვის ადრიან ნიეტოს აჯობა.

მეორე საჭიდაო დღეს 81 კგ წონით კატეგორიაში ტატო გრიგალაშვილმა ჯერ ფრანგი უგო მეტიფო დაამარცხა, რასაც აზერბაიჯანელ ზელიმ ტცკაევთან და იტალიელ ტიციანო ფალკონესთან გამარჯვება მოჰყვა. შედეგად ტატო ნახევარფინალში გავიდა, სადაც უნგრელ რობერტ რაიკაის მოუგო, ხოლო ფინალში შვეიცარიელი ლუკას ვიტვერი დაამარცხა და ოქროს მედალს დაეუფლა.

ამავე წონით კატეგორიაში ვლადიმერ ახალკაცმა იტალიელ ფალკონეს იპონით მოუგო და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ოქროს მედლის მფლობელი გახდა 90 კგ წონით კატეგორიაში ლუკა მაისურაძე, რომელმაც შვედი აქსელ ოსკარსონი, სერბი დარკო ბრსნიოვიჩი და ბოსნიელი ტონი მილეტიჩი დაჯაბნა, ნახევარფინალში კი ლატვიელ ალეკსეის ზარუდნევსს სძლია.

გადამწყვეტ ბრძოლაში რუსეთის წარმომადგენელ ეკუბჟონ ნაზიროვთან ჩვენებური ვაზარით აგებდა, მაგრამ 19 წამით ადრე თავადვე გაუკეთა იმავე ხარისხის ილეთი, ხოლო 3 წამით ადრე მეორედაც დააგდო ტატამზე და ევროპის ჩემპიონის ტიტული ირგუნა.

100 კგ-მდე წონით კატეგორიაში ონისე სანებლიძემ ბრინჯაოს მედალი იპონით ფრანგი დევოს დამარცხებით მოიპოვა.

მძიმე წონაში კი გელა ზაალიშვილმა ფინალი უნგრელ რიჩარდ სიპოშთან წააგო და ვერცხლს დასჯერდა.

შემაჯამებელ ტურნირს ფედერერი გამოაკლდა

15-22 ნოემბერს ლონდონში წლის შემაჯამებელი საჩოგბურთო ტურნირი გაიმართება, რომელშიც ყოველთვის ის საუკეთესო 8 სპორტსმენი მონაწილეობს, რომლებიც ატპ-ს რეიტინგის სათავეში არიან, თუმცა გადანაცვლებაც ხდება – წლეულს, მაგალითად, ლონდონში არ ითამაშებს ლეგენდარული როჯერ ფედერერი.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიელი სუპერვარსკვლავი 2020 წლის 7 თებერვლის მერე აღარ გასულა კორტზე – 39 წლის ვეტერანი ტურნირებზე გამოსვლისგან თავს კორონავირუსის პანდემიის გამო იკავებს.

ფედერერის ნაცვლად შემაჯამებელ ტურნირზე ატპ-ს რეიტინგში მე-9 ადგილზე მყოფი არგენტინელი დიეგო შვარცმანი გამოვა.

სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებენ:

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი), რაფაელ ნადალი (ესპანეთი), დომინიკ ტიმი (ავსტრია), ალექსანდრ ზვერევი (გერმანია), სტეფანოს ციციპასი (საბერძნეთი), დანილ მედვედევი, ანდრეი რუბლიოვი (ორივე რუსეთი).

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ჩემპიონია ბერძენი სტეფანოს ციციპასია, რომელმაც ფინალში ავსტრიელი დომინიკ ტიმი დაამარცხა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

სოსო ნაყოფია მწუხარებით იუწყება

დოდო გივის ასულ ქირიას

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს მეუღლეს იან გვილავასა და ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მატყლის სართავი უმარტივესი ბზრიალა ხელსაწყო; 2. მსუბუქ ორთვლიან ეტლში შებმული ადამიანი; 3. იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 5. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. სახელმწიფო აზიაში; 10. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 12. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, შეკუმშვა; 14. ერთ-ერთი კონტინენტი; 15. ოხუნჯი, ხუმარა ადამიანის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. ალ.ყაზბეგის მოთხრობა.

თარაზულად: 1. ნაყვავილარი სახის მქონე ადამიანის ძველი სახელწოდება; 4. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 7. აბანოს მომსახურე პირი; 9. აქლემის ნაშიერი; 11. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია; 12. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში; 13. თევზის საჭერი მოწყობილობა; 17. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჯელესში; 19. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 20. მჭევრმეტყველების თეორია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტემპერა; 2. შხამი; 3. ზედაზენი; 4. პუდინგი; 5. პანტომიმა; 9. დიდუბე; 12. ვანდომი; 14. ლოკალი; 15. ვონი; 17. მტილი; 18. ლაპი.

თარაზულად: 6. ფესახი; 7. პერკუსია; 8. ოპიუმი; 10. ანეტო; 11. კარაბადინი; 13. ღლიღვები; 16. კადიმა; 19. ალკოჰოლი; 20. ლინოტიპი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაშო; 2. მუყაო; 3. კოიოტი; 5. დიეტა; 6. ნომინალი; 8. ყარაჩოღელი; 10. გლუკოზა; 12. აპრიორი; 14. ჩრჩილი; 15. საცივი; 16. კიევო.

თარაზულად: 1. ბოჰემა; 4. ედისონი; 7. ბაყალი; 9. ტონაჟი; 11. პრომილე; 12. ალკოჰოლი; 13. სკვერი; 17. მარულა; 18. ცეცე; 19. არმანიაკი; 20. ფიტოფაგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2863

ევრო — 3.8742

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3570

100 რუსული რუბლი — 4.3144

ამინდის პროგნოზი 12 ნოემბრისათვის

მესი: „მინდა, ანსუ ფატი მალე დაბრუნდეს“



ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ ანსუ ფატის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ იმედი აქვს, ანსუ ფატი მოედანზე მალე დაბრუნდება, რადგან მის გარეშე ბარსელონისთვის თამაში იოლი არ იქნება.

მესის აზრით, ფატიმ ტრავმა ბოლომდე უნდა მოირჩინოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდეს:

– ძალიან ცუდია, რომ ანსუმ ტრავმა მიიღო, მაგრამ ამას უნდა შევეგუოთ. იმედი მაქვს, ის მალე დაბრუნდება მოედანზე. მის გარეშე თამაში ჩვენთვის იოლი არ იქნება.

კლოპი: „არნოლდის ტრავმა მძიმე დარტყმაა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ტრენტ ალექსანდრ არნოლდის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდისთვის ეს მძიმე იქნება, რადგან წლევანდელ სეზონში ლივერპულის ბევრ ფეხბურთელს აწუხებს ტრავმა და ეს ერთგვარ ტრადიციად იქცა:

– არნოლდის ტრავმა ჩვენთვის მძიმე დარტყმაა და ის ნამდვილად დაგვაკლდება. არ ვიცი, წელს ამდენი ტრავმირებული ფეხბურთელი რატომ გვყავს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ხელს გვიშლის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცმა წვიმის შემდეგ პარკში გასეირნებისას მსხვილი ალმასი იპოვა



ამერიკის არკანზასის შტატში მამაკაცმა პარკ „ალმასების კარიერში“ მსხვილი, 4,49-კარატიანი ალმასი იპოვა.

34 წლის სტივენ მაკულმა, რომელიც ქალაქ ფეიეტვილის მკვიდრია, გადაწყვიტა, მთელი დღე „ალმასების კრატერში“ გატარებინა მას შემდეგ, რაც კოკისპირულმა წვიმამ ალმასების მოსაძებნად შესანიშნავი პირობები შექმნა. მან მსხვილი ალმასის პოვნა პარკის დახურვამდე ნახევარი საათით ადრე შეძლო.

მამაკაცმა ნაპოვნი ძვირფასი ქვა სპეციალისტებს მიუტანა, რომლებმაც დაადგინეს, რომ მის მიერ ნაპოვნი ალმასი მიმდინარე წელს ნაპოვნ ძვირფას ქვებს შორის სიდიდით მესამეა.

გარკვეული ტრადიციის თანახმად, მაკულმა გადაწყვიტა, ნაპოვნი ალმასისთვის სახელი დაერქმია. ამისთვის მან ბავშვების ინიციალები გამოიყენა და ალმასს „ბამმამ“ დაარქვა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 ნოემბრისათვის

ვერძი – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** – მამაკაცების საყურადღებოდ – იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** – დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით – მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– რაღაც ჩემი სამართებელი აღარ პარსავს!

– რა ვიცი, გუშინ ლინოლეუმს კარგად ჭრიდა და...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი, რომლით დავიწყო?

– ცუდით.

– მთელი შენი ფული დავხარჯე, შენი ბინა და მანქანა გავყიდე. ახლა კი კარგს გეტყვი – მე შენგან მივდივარ.

●●●

ჟურნალისტი ბიზნესმენს ეკითხება:

– როგორ გახდით მილიონერი?

– ცოლის წყალობით.

– ეგ როგორ?

– მაინტერესებდა, თუ როდის შეწყვეტდა წუწუნს, რომ საკმარისი ფული არ ჰქონდა.

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– თქვენ საფირმო კერძთან მისაყოლებლად რომელ შუშხუნა ღვინოს მირჩევთ, მშრალს თუ ნახევრად მშრალს?

– ქალბატონთან ერთად ხართ?

– რა თქმა უნდა.

– იმასთან, ახლახან ტუალეტში რომ გავიდა?

– დიახ.

– მაშინ არაყი შეუკვეთეთ!

●●●

რაიონულ სკოლაში განათლების სამინისტროს წარმომადგენელი მამაკაცი ინგლისურის გაკვეთილს ესწრება. ახალგაზრდა ქალმა მასწავლებელმა დაფაზე ინგლისურად წინადადება დაწერა, ცარცი ძირს დაუვარდა, სექსუალურად დაიხარა, აიღო, შემდეგ კლასისკენ შეტრიალდა და შეკითხვა დასვა:

– აბა, რომელი მითარგმნის, რა წერია დაფაზე?

ხელი მხოლოდ მიხომ ასწია, რომელიც სამინისტროს წარმომადგენლის გვერდით ზის და ინგლისურის გაგებაში არ არის. გაკვირვებულ მასწავლებელს სხვა გზა არ ჰქონდა და მიხოს ეუბნება:

– აბა რა წერია დაფაზე?

– ასეთი საჯდომით მაგრად იცხოვრებთ.

– გაეთრიე გარეთ! – უყვირა მასწავლებელმა.

მიხო ადგა, კართან მისული დამსწრეს მოუტრიალდა და ეუბნება:

– შე კარგ მ...ლო თუ არ იცოდი, რაღას მკარნახობდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუსკა ქარქაშაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა

მსახიობ რუსკა ქარქაშაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა.

ამჟამად ის თვითიზოლაციაში იმყოფება და მკურნალობის კურსს გადის.

რუსკა ფართო საზოგადოებამ სერიალ „ხელოვნურ სუნთქვაში“ მელანოს როლის განსახიერებით გაიცნო. ამ როლზე ის 500 გოგონას შორის აარჩიეს.

მოგვიანებით მან „ცეკვავენ ვარსკვლავებშიც“ მიიღო მონაწილეობა და თავისი შესაძლებლობებით ჟიურის წევრებიც მოხიბლა.

ტორესა მოსი საგანგებო სიტუაციების სამსახურს დახმარებას სთავაზობს

მწერალი და ტელეწამყვანი ტორესა მოსი საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს დახმარებას სთავაზობს:

– ხალხი მასობრივად წერს, რომ ვერ უკავშირდება სასწრაფოს, რომ შეტყობინებას ტოვებენ, მაგრამ შემდეგ არავინ უკავშირდება. არ ვიცი, ექიმი არ ვარ, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ, მაქვს საკუთარი ლეპტოპი, თუ ეს შესაძლებელია, მზად ვარ, ჩემი დროის რამდენიმე საათი ყოველდღე მოხალისეობრივად დავუთმო გადაუდებელი დახმარების ცენტრს, დავჯდე და მინიმუმ ტელეფონს ვუპასუხო, მონაცემები ჩავინიშნო, შესაბამის ადამიანს მივაწოდო და, თუ საჭირო გახდება, შევახსენო, სად არის დასარეკი.

თუ კადრები და რესურსები არ გყოფნით, გვითხარით ამ ქვეყნის მოქალაქეებს. გასაგებია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია ქვეყანაში, მაგრამ ადამიანებს დღეს აქ, ახლა სჭირდებათ დახმარება. ჰოდა, რაღაცა ვქნათ ყველამ ერთად, იმიტომ, რომ ეს არ არის პოლიტიკური საკითხი.

„ღამე მუზეუმში“ დისტანციურად ჩატარდება

აქცია „ღამე მუზეუმში“ 14-16 ნოემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდება.

აქციის ფარგლებში საქართველოს 50 მუზეუმი დამთვალიერებელს შემეცნებით და სახალისო აქტივობებს დისტანციურად, ციფრულ ფორმატში შესთავაზებს.

გაიმართება ონლაინგამოფენები, ვირტუალური და ლაივტურები, საგანმანათლებლო პროგრამების, კურატორების ბლოგების პრეზენტაციები, ექსპონატების შესახებ საინტერესო ისტორიების ვიდეოჩვენებები...

რეზო ჩხეიძის ფილმ „მაია წყნეთელს“ რესტავრაცია ჩაუტარდა

რეჟისორ რეზო ჩხეიძის ერთ-ერთ გამორჩეულ ფილმ „მაია წყნეთელს“ რესტავრაცია ჩაუტარდა.

ეროვნულმა კინოცენტრმა გადაწყვიტა, მეფე ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით მაყურებელს „მაია წყნეთელის“ აღდგენილი ვერსია შესთავაზოს.

ონლაინჩვენება გაიმართება 13, 14 და 15 ნოემბერს ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე.

„მაია წყნეთელი“ რეზო ჩხეიძის ერთ-ერთი გამორჩეული ფილმია ქართველი კინოვარსკვლავების მონაწილეობით.

ფილმმა ახალი სიცოცხლე 2020 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა დასრულდა მისი რესტავრაცია ციფრულ 2კა ფორმატში. ხმის გაწმენდა-დამუშავება, გამოსახულების დამუშავება და ფერის კორექცია „ქართული ფილმის“ ბაზაზე განხორციელდა.

ვარძიასა და უფლისციხეში ვიზიტორთა დაშვება დროებით იზღუდება



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ეპიდემიური ვითარების წარმოქმნის რისკის გამო მის დაქვემდებარებაში მყოფ ვარძიისა და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალებზე ვიზიტორთა დაშვება დროებით იზღუდება.

დადგენილი რეგულაციების შესრულებისა და ეპიდემიოლოგების რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ეროვნული სააგენტო მოქალაქეებსა და ტურისტულ კომპანიებს დაგეგმილი ვიზიტებისა და ტურების გადავადებისკენ მოუწოდებს. მუზეუმ-ნაკრძალების ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების რისკის გამო რიცხვის შემდეგ კომპლექსებზე დამთვალიერებელთა მიღება ჩვეულ რეჟიმში განახლდება, რის შესახებაც სააგენტო ოფიციალურ განცხადებას გამოაქვეყნებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. გამომგონებლის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მგალობელი ჩიტი; 5. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პირფართო თიხის ჭურჭელი; 12. იტალიელი კომიკოსი; 14. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოში; 15. იტალიელი მოდელიერი; 17. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 18. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 6. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. სატუსაღო ძველ თბილისში; 10. ფულის ერთეული პაკისტანში; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. კბილის ექიმის ძველებური სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა